ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 14 სექტემბერი 1996 №93 (318) ფასი 40 თეთრი




11 ოქტომბერი. მატჩის წინა დღე. ადვოკაატი კარგ ხასიათზეა



12 ოქტომბერი. მატჩის შემდეგ...

უჯმაჯურიძეს „ეინდჰოვენის“ დამამათებაც შეეძლო...

# ეგრე არ არის, PSV

**მერაბ გამულაშვილი** ბათუმიდან

შეუძლებელია ემოციის გარეშე დაწერო შეხვედრაზე, რომლის საბოლოო შედეგმა ყველა წინასწარი პროგნოზი გააცამტვერა. ყველაფერი შეფარდებითია. ამ შემთხვევაშიც, ამ შეფარდების პრინციპიდან გამომდინარე, ფრე — ჰოლანდიის დღესდღეობით საუკეთესო გუნდთან ფრე ქართული გუნდისთვის დიდი მიღწევაა და ამადაც ფასობს ჩვენთვის ეს შედეგი. არადა, ყველამ ჩავიხედოთ გულებში და ვაღიაროთ, რას ვფიქრობდით 12 სექტემბრის საღამოს 9 საათამდე — ნეტავ დიდი ანგარიშით არ დავმარცხდეთ, არ შევრცხვეთო და ასე შემდეგ. სრულიად ბუნებრივადაც.

სანამ უშუალოდ შეხვედრაზე გადავიდოდეთ, მანამ ცოტათი თამაშისწინა სამზადისსა და სხვა რამეებზე მოგითხრობთ. აგერ უკვე წელიწადია, ყოველ საერთაშორისო შეხვედრას ბათუმის სტადიონი სიახლით ხვდებოდა. ახლაც ასეა. აღმოსავლეთ ტრიბუნის ნახევარზე ინდივიდუალური სკამები დამონტაჟდა; თამაშის წინა დღეს აზერბაიჯანიდან ჩამოსულმა სპეციალისტებმა დაასრულეს 800 ლუქსიანი განათების სისტემის დამონტაჟება. დასრულდა ხუთი კაბინისაგან შედგარი პრეს-ლოჟის მშენებლობაც, თუმცა, როგორც შემდგომ გაირკვა, იგი მხოლოდ ტელე და რადიო ჟურნალისტებისთვის ყოფილა განკუთვნილი, ამიტომ ჩემი კოლეგების უმრავლესობა შეხვედრას ტრიბუნებიდან ადევნებდა თვალყურს. სრულ მზადყოფნაში იყო აჭარის პოლიცია. ყველაფერი გაკეთდა წესრიგის დასამყარებლად, სტადიონის მისადგომებთან ბოლოდანვე დაიდგა ჯებირები. რაც შეეხება ბილეთის ფასს, იგი 4 ლარი იყო, მაგრამ არც მაყურებელთა ინტერესი იყო ნაკლები — ასეთი მეტოქე ხომ პირველად ჰყავდა ბათუმს. ტრიბუნები, ფაქტიურად, სავსე იყო. თამაშის წინ საზეიმო განწყობა სუფევდა — სამხედრო ორკესტრი მუსიკას უკრავდა, ჰაერში ფერადი ბუშტებიააფრინეს. თუმცა, საზეიმო განწყობასთან ერთად, ეჭვნარევი მოლოდინი დაუფლებოდა ყველას.

რა ვიღონოთ „ეინდჰოვენის“ წინააღმდეგ? ეს კითხვა ბათუმელთა მთავარ მწვრთნელს შოთა ჭეიშვილს კენჭისყრის შემდეგ არ ასვენებდა. პრობლემები საკმაოდ იყო — ალეკო კანტიძეს თამაშის დღეს სიცხე ჰქონდა, ახლახან მომჯობინებული მაჭუტაძე ვერ იყო ფორმაში, ტულუშსაც „კახეთთან“ მიღებული ტრავმის შემდეგ არ ეთამაშა. ერთ-ერთ ვარჯიშზე ფეხი იტკინა ბადრი ფუტკარაძემაც. შეიძლება იკითხოთ, ისეთი რა ტაქტიკა უნდა აერჩია ჭეიშვილს, „ეინდჰოვენი“ რომ ვერ გამკლავებოდაო. მაგრამ შეხვედრამ გვიჩვენა, რომ ბათუმელთა მთავარმა მწვრთნელმა ერთადერთი სწორი ვარიანტი ამოირჩია — 5-4-1 უკანა მცველად მალხაზ მახარაძე გაამწესა, წინა მცველი გელა შეყილაძე იყო. მარცხენა — ზურაბ მინდაძე, მარჯვენა კი — თენგიზ სიჭინავა. ჰოლანდიელთა გამოკვეთილ თავდამსხმელს ეიკელკამპს ჭოჭუაშვილი მიუჩინეს და ეს იყო, ალბათ, ჭეიშვილის სწორი მიგნება. ჭოჭუაშვილმა გაამართლა — მას ხომ აქამდე „ბათუმის“ ძირითადში არც უთამაშია. თუმცა, ამაზე ცოტა მოგვიანებით. ნახევარდაცვაში ასეთი განლაგება იყო: საყრდენი — როსტომ თორღაშვილი, მის წინ — ტულუში, მარცხნივ — ამირან მუჯირი, მარჯვნივ — პაატა მაჭუტაძე. დათო უჯმაჯურიძე ერთადერთი გამოკვეთილი თავდამსხმელი იყო. თამაშის წინა დღეს ჰოლანდიელი ჟურნალისტების ნათქვამი, „ეინდჰოვენი“ 4-4-2-ით ითამაშებსო, არ დავიჯერეთ, ისინი ხომ ტრადიციულად 3-5-2 სისტემას ამჯობინებენ. თქვენ წარმოიდგინეთ, შემადგენლობაც და განლაგებაც სწორი გვითხრეს, ისეთი, დიკ ადვოკაატმა რომ დააყენა. იმ განსხვავებით, რომ ფაბერის ნაცვლად ცენტრალურ მცველად ჰოლანდიის ნაკრების წევრი სტამი გამოიყვანა. საერთოდ, ჰოლანდიელები დაცვაში ხაზზე თამაშობდნენ. ცენტრში სტამი ვალქსს შეეწყვილა. მარჯვნივ ვან დერ ვეერდენი მოქმედებდა, მარცხნივ — ნუმანი. საყრდენი იონკი იყო, მის წინ — ბელგიის ნაკრების წევრი დეგრიზი. კოკუ მარცხნივ მოქმედებდა, მარჯვნივ — ფინკი. წინ ეიკელკამპი და ნილისი თამაშობდნენ, თუმცა ნილისი ხშირად ნახევარდაცვაშიც იხევდა. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმელთა წინააღმდეგ ჰოლანდიისა და ბელგიის ნაკრებების ყოფილი და ახლანდელი რვა წევრი თამაშობდა: სტამი, ვალქსი, ნუმანი, იონკი, ფინკი, კოკუ, დეგრიზი და ნილისი.

ბათუმელებმა კონტრშეტევებზე თამაში ამჯობინეს. დაიწყო შეხვედრა და გამოჩნდა ქართველ მოთამაშეთა ბრძოლა და თავდადება, რაც იშვიათად თუ გამოუვლენიათ აქამდე. ბათუმელები სტუმრებს ფეხზე „ასხდნენ“, გასაქანს არ აძლევდნენ და სათამაშო სივრცეც შეუზღუდეს. გარდა ამისა, აშკარა იყო, რომ „ეინდჰოვენმა“ მოწინააღმდეგე ვერ შეაფასა. თავიდან ჰოლანდიელები მშვიდად, აუღელვებლად თამაშობდნენ, მაგრამ თანდათან დარწმუნდნენ, რომ არც ისე იყო საქმე, როგორც ეგონათ. მასპინძლებს ძალა მაყურებელთა დიდმა მხარდაჭერამაც შეჰმატა. წელანაც აღვნიშნეთ, ბათუმელები ჰოლანდიელებს თავისუფლად ბურთის გადაცემის საშუალებას არ აძლევდნენ, ხშირად ჭრიდნენ გადაცემებს და მოედნის ცენტრიდანაც სწრაფად, დაყოვნების გარეშე მიიწევდნენ წინ. ეს იყო მთავარი, ამის გამო პირველ ტაიმში თანაბარი თამაში გამოვიდა. ეს ტაიმი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა.

იხილეთ მეორე გვერდი

# ცირკში, მოკრივეებთან

უცხოეთში პროფესიონალ მოკრივეთა მატჩების წინ გამართული აჟიოტაჟი და პრეს-კონფერენციები ჩვეულებრივი რამაა. ახლა საქართველოს კრივის მესვეურებს გადაუწყვეტიათ ამგვარი პროლოგებით ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატების გამართვა. და ამ მხრივ პირველი ნაბიჯიც გადადგეს, როცა პრეს-კონფერენციაზე მიგვიწვიეს.

ეს ჩემპიონატი მრავალმხრივ საინტერესო და ძალზე მიმზიდველი გამოდგება: ჯერ ერთი, მესამე წელი იწყება, რაც ამ სახეობაში ჩემპიონატი არ გამართულა და ახლა ნავსი ტყდება, მეორეც ამ ჩემპიონატში ვიხილავთ ყველა უძლიერეს ქართველ მოკრივეს, რომლებიც ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე გამოდიოდნენ. ესენი არიან ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების, მსოფლიო თასის გათამაშებისა და სხვა მრავალ საერთაშორისო ასპარეზობათა პრიზიორები. ეს მოკრივეები არიან: გორელი გიორგი კანდელაკი, ფოთელი კობა გოგოლაძე, თბილისელები ბესიკ ვარძელაშვილი, თენგიზ მესხაძე... ფიქრობენ, რომ შეჯიბრებაში გამოვა ქუთაისელი აკაკი კაკაურიძე. შეჯიბრების ორგანიზატორებისთვის გამოსკვლეულ, ბარსელონის ოლიმპიური თამაშების პრიზიორს რამაზ ფალიანს შემოუთვლია, საქართველოს ღია ჩემპიონატზე უთუოდ ჩამოვალო. ეს ყველაფერი საქართველოს ჩემპიონატს საერთაშორისო შეჯიბრებათა დონეს ახლოებს.

ეს ასპარეზობა გულშემატკივართა დიდ ინტერესს გამოიწვევს კიდევ იმიტომ, რომ ჩვენი მოკრივეების ბრძოლები, თუ ტელეეკრანს არ ჩავთვლით, საქართველოში „ცოცხლად“ არავის უნახავს.

ზოგიერთ წონაში მართლაც დიდ ბრძოლებია მოსალოდნელი. მაგალითად, 67 კგ. კატეგორიაში, სადაც ტრადიციულად მესხაძე გამოდის. ახლა 63,5 კგ-დან ამ წონაში გადაუნაცვლებია ვარძელაშვილს. ალბათ სწორედ ეს ორი მოკრივე, ორივე ოლიმპიური თამაშების მონაწილე, ფინალურ ბრძოლაში შეხვდება ერთმანეთს. სწორედ ფინალურში, რადგან ასპარეზობის ორგანიზატორები კენჭისყრას იმგვარად ატარებენ, რომ მათი გზები გადამწყვეტ პაექრობამდე არ გადაიკვეთოს.

შეჯიბრებისადმი ინტერესს ისიც ზრდის, რომ მასში ცალკე გუნდად გამოვლენ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრები, რომლებიც 10 ნოემბერს კუბაში 19 წლამდე ასაკის მოკრივეთა მსოფლიო ჩემპიონატში ჩაებმებიან.

ასე რომ, სპორტულ შეჯიბრებებს დანატრებულებს თბილისში მეტად საინტერესო მოკრივეთა პაექრობა გველის.

შეჯიბრებები 16-17 სექტემბერს 16, ხოლო 18-ში ფინალური ბრძოლები 17 საათზე დაიწყება.

გულშემატკივრებს ბილეთის ღირებულება ნუ შეგაშინებთ — სულ ერთი „ქემელის“ ფასია, ხოლო ფინალის დღეს — ორისა.



გიორგი კანდელაკმა ეს-ესაა ატლანტის ოლიმპიურ რინგზე დაასცა ეკვადორელი გარსია. გორელის ოსტატობას ახლა თბილისშიაც ვიხილავთ.

# მიხეილ კაკაბაძე

ჩვენი მასწავლებლისა და კოლეგის, ცნობილი ჟურნალისტის მიხეილ კაკაბაძის დაბადებიდან 75 წელი შესრულდა. „სარბიელის“ მე-7 გვერდზე კიდევ ერთხელ მივაგებთ პატივს მის ნათელ ხსოვნას.

# «ბათუმმა» პროგნოზები გააბათილა

**ბათუმი 1:1 ეინდჰოვენი**

12 სექტემბერი. ბათუმი. სტადიონი „დინამო"

1 ტოგონიძე
7 მ. მახარაძე
2 სიჭინავა 3 მინდაძე
5 შეყილაძე 4 ჭიჭველიშვილი
6 თორლაშვილი
8 მაჭუტაძე 9 ტულუში 11 მუჯირი
10 უჯმაჯურიძე

9 ეიკელკამპი
10 ნილისი
11 კოკუ 8 დეგრიზი 7 ფინკი
6 იონკი
5 ნუმანი 3 ვან დერ ვეერდენი
4 ვალქსი 3 სტამი
1 ვატერეუსი

შეცვლა: ეიკელკამპი — 17 მარსელო (69), მაჭუტაძე — 13 ლლონტი (71), დეგრიზი — 12 ზენდენი (76), ჭიჭველიშვილი — 14 შანიძე (87)
1:0 მუჯირი (23), 1:1 ნილისი (39 პ)
გაფრთხილება: ფინკი
მსაჯი: კ. ცუპინგერი (შვეიცარია)

თავიდან უფრო ბათუმელებმა იჯოჩალეს. მე-3 წუთზე იონკის შეცდომის წყალობით ბურთი ტულუშმა ჩაიგდო, წინ თავისუფალი სივრცე ჰქონდა, გაგრძელების მონახვაც შეეძლო, მაგრამ დაყოვნდა და ვალქსმაც ვითარება განმუხტა. ერთი წუთის შემდეგაც იგივე მოხდა, ამჯერად მაჭუტაძემ გაიმეორა ტულუშის შეცდომა. იქვე ბურთის სტუმრები დაეუფლნენ და მარჯვენა ფლანგზე ფინკს გადააწოდეს. მანაც საჯარიმოში ჩაჰკიდა, მაგრამ ტოგონიძემ ბურთი მუშტებით მოიგერია. მე-6 წუთზე საჯარიმოში ბურთი ფინკმა ნილისს გადააწოდა, მან ბურთი ქუსლით ეფექტურად გაიგდო, მაგრამ შეყილაძემ, რომელიც ბელგიელს მეთვალყურეობდა, ბურთი მოიგერია. ჰოლანდიელები ცდილობდნენ, ბათუმელები ხშირი შორეული დარტყმებით გაემწარებინათ, მაგრამ მასპინძლები იშვიათად ტოვებდნენ თავისუფალს რომელიმეს, ანაც ბურთზე უწვებოდნენ. ერთი სიტყვით, ჩვენებს თავდადება არ აკლდათ. ორჯერ კოკუსა და დეგრიზის კომბინაციას მოჰყვა დარტყმა: ერთხელ კოკუმ ითამაშა არაზუსტად, მეორედ კი ტოგონიძემ ბურთი ნახტომში მოიგერია. მერე კურტ ცუპინგერმა ჩვენს კართან ორი სახიფათო საჯარიმო დანიშნა, მაგრამ კოკუმ და დეგრიზმა აქაც ვერ იხეირეს. მატჩის ამ მონაკვეთში, ასე, მე-15 წუთისთვის, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს „ეინდჰოვენმა" თამაშის სადავეები ხელში იგდო: მე-14 წუთზე ნილისმა მომენტი გააფუჭა, მე-15-ზე დეგრიზს ტოგონიძემ აჯობა, სულ მალე იგი ეიკელკამპის თაურსაც გაუმკლავდა. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ბათუმელები დაცვას თავს ვერ აღწევდნენ. მათ შეტევებს ხშირ შემთხვევებში იმ დღეს მშვენივრად მოთამაშე ლიბერო მალხაზ მახარაძე იწყებდა. სწორედ მისი მოჭრილი გადაცემის შემდეგ შეიქმნა რამდენიმე სახიფათო მომენტი „ეინდჰოვენის" კართან. ჯერ იყო და, ტულუშს გადასცა, მაგრამ თემურს მეკარემ დაასწრო. ხოლო 22-ე წუთზე მოხდა ის, რასაც ყველა ასე ნატრობდა. საკუთარ საჯარიმოში „ეინდჰოვენის" ერთ-ერთი შეტევის ჩაჭრის შემდეგ ბურთი მახარაძემ მიიღო და შენიშნა, რომ მარცხენა ფლანგზე მუჯირი გაიხსნა. გადაცემამ არ დააყოვნა, მუჯირმა ვან დერ ვეერდენს მშვენივრად ჩაუდგა ტანი, ბურთიანად შეიჭრა „ეინდჰოვენის" საჯარიმოში და უმალ დაარტყა. წინ გამოსულმა ვატერეუსმა რეაგირებაც კი ვერ მოასწრო. ალბათ წარმოგიდგენიათ სტადიონზე შეკრებილი 15 ათასი ქომაგის აღტაცება და სიხარული — ნაცნობი თუ უცნობი, ყველა ერთმანეთს ეხვეოდა და ულოცავდა. ასე მოულოდნელად გაიხსნა ანგარიში — 1:0.

როგორც შემდეგ გამოჩნდა, სტუმრებმა პირველი გოლი შემთხვევითობას მიაწერეს და კინაღამ მეორედაც დაისაჯნენ: ვალქსი კომბინაციას იწყებდა, გადააწოდა იონკს, მაგრამ უჯმაჯურიძემ მას ბრძოლაში ბურთი აართვა. ჩვენი ფეხბურთელის წინ მხოლოდ ვალქსი და მეკარე დარჩნენ. მეკარე წინ გამოვარდა და კარები ცარიელი დატოვა, უჯმაჯურიძემ იგი ტექნიკურად მოტყუა, სწორად შეაფასა ვითარება, არ დააყოვნა და ბურთი კარისკენ გაგზავნა. მაყურებელი გაირინდა, ხუმრობა ხომ არ იყო — „ეინდჰოვენისთვის" შეძლებოდა მეორეც გაგვეტანა... რამდენადაც სასიამოვნო იყო მოლოდინი, იმდენად უსიამოვნო გახლდათ მისი დასასრული — ბურთი კარს ასცდა. თამაშის შემდეგ უჯმაჯურიძე სინანულით გაიხსენებს ამ მომენტს — კოჭი მქონდა ამობრუნებული, დარტყმის დროს ტკივილმა შემახსენა თავი და სიზუსტემ მიმტყუნაო. არც ამის შემდეგ შემწყდარა ორმხრივი შეტევები. 39-ე წუთზე „ეინდჰოვენმა" მაინც შეძლო ანგარიშის გათანაბრება. შეყილაძემ საკუთარ საჯარიმოში ნილისი მოცელა და მსაჯის გადაწყვეტილებამაც არ დააყოვნა. პენალტი ნილისმა ზუსტად შეასრულა — 1:1. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

შესვენებისას გავესაუბრე ჰოლანდიელ ჟურნალისტებს, რომლებიც აშკარად გაოცებულნი იყვნენ ბათუმელთა თამაშით. თქვენგან ასეთ წინააღმდეგობას არ ველოდითო, — გვითხრა ერთ-ერთმა მათგანმა.

მეორე ტაიმში ვითარება ოდნავ შეიცვალა. ბათუმელებმა დაცვაზე გაამახვილეს მეტი ყურადღება, ჰოლანდიელებს კი იმის დამტკიცება სურდათ, რომ პირველი ტაიმის შედეგი შემთხვევითი იყო. მაგრამ ეს ვერ შეძლეს, ბათუმელებმა კი ღირსეული თამაშის საფასურად თავიანთი გუნდისა და ქართული ფეხბურთის ისტორიაში უძვირფასესი ქულა ჩაწერეს. შედარებისთვის შეგახსენებთ, რომ ამ შეხვედრამდე ორი დღით ადრე არცთუ საუკეთესო ჰოლანდიურმა „ფეიენოორდმა" სტუმრად მოსკოველი არმიელები 1:0 დაამარცხა. შევადაროთ „ეინდჰოვენი" და „ფეიენოორდი", „ბათუმისა" და ცსკა-ს პირობები და ადვილი მისახვედრია, რამხელა წარმატებაა ჩვენი გუნდისთვის ჰოლანდიელებთან ამ შეხვედრის ფრედ დასრულება.

–მეორე ტაიმში კოკუს, ეიკელკამპის, ნუმანისა და ნილისის მონდომებას შედეგი არ მოუტანია. ბათუმელები ბოლომდე გულიანად თამაშობდნენ და ერთი-ორი მწვავე შეტევაც განახორციელეს. რა თქმა უნდა, ამ წყვილში „ეინდჰოვენია" ფავორიტი, მეორე შეხვედრაშიც მათ ექნებათ მეტი შანსი, რაც აღნიშნეს კიდეც ორივე გუნდის მწვრთნელებმა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — მთელს ევროპას სენსაციად მოედო კონტინენტის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის ფრე ყველასათვის უცნობ „ბათუმთან". ძნელია, ასეთი თავდადებისა და მონდომების შემდეგ ვინმე გამოარჩიო მასპინძელთაგან — თითოეულმა მართლაც ბოლომდე იბრძოლა. ერთი მხრივ, ბათუმელთა ფრე, მეორე მხრივ კი მოსკოვში „ტორპედოსთან" „დინამოს" გამარჯვება უთუოდ აამაღლებს ქართული ფეხბურთის რეიტინგს.

შეხვედრის შემდეგ ბათუმელთა გასახდელში დიდ სიხარულს დაესადგურებინა. პირველად გუნდის კაპიტანს **მალხაზ მახარაძეს** გავესაუბრე. ჩემი აზრით, მან თავისი საუკეთესო თამაში აჩვენა. მუჯირის გოლიც მის მშვენიერ გადაცემას მოჰყვა.

— დავამტკიცეთ, რომ ქართული ფეხბურთი სულაც არ არის დაბალი დონის. პირველ ნაკრებში მხოლოდ ერთი კაცი გვყავს, არადა, გვყვანან ისეთები, ვისაც მეტი ყურადღება უნდა მიაქციო. ჩვენი ბიჭებიდან ბევრს შეუძლია მაღალ დონეზე თამაში. დროის გასვლასთან ერთად ჩვენი ფეხბურთი კიდევ უფრო გაძლიერდება და, ალბათ, იმის მომსწრეც გავხდებით, რომ ქართული გუნდები ევროპის ტურნირებს ფავორიტებად მოევლინებიან.

თამაშამდე ორიოდე კვირით ადრე ბათუმელებს ვეკითხებოდით, რა განწყობა ჰქონდათ „ეინდჰოვენთან" შეხვედრის წინ. გაგვაოცა ამირან მუჯირის ოპტიმიზმმა. ფეხბურთელის თამაშმა მისი სიტყვების სიწრფელეში დაგვარწმუნა.

— არ ვფიქრობდი იმაზე, რომ ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს ვეთამაშებოდით. ასევე იქნებოდა ნებისმიერ მეტოქესთან.

**— მოდი, გოლის გატანის მომენტი გავიხსენოთ...**

— მახარაძემ ისე შორიდან მომცა პასი, რომ არც მეგონა, ბურთს თუ მივიღებდი. ისეთი ზუსტი და კარგი გადაცემა იყო, გაქცეულს ბურთი პირდაპირ ფეხზე „მომაჯდა". მცველს გავასწარი და მერე აღარაფერი მახსოვს, აზრზეც ვერ მოვედი.

საერთოდ, თამაშის წინ გული თუ მითამაშებს, ვიცი, რაღაც უნდა მოხდეს. დღესაც ასე მომივიდა...

**დათო ჭიჭველიშვილმა** პირველად ითამაშა „ბათუმის" ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ ამას ვერც შეამჩნევდით — პერსონალურად მისთვის მიჩენილ ეიკელკამპს მან ფეხი არ გაანძრევინა. მოკლედ, დათოს ბრწყინვალე დებიუტი ჰქონდა:

— როგორ ვთქვა, რომ არ ვნერვიულობდი? ვიღაც მესამეხარისხოვან გუნდს ხომ არ ვხვდებოდით. თანაც, პირველად მათამაშა ჭეიშვილმა. მაგრამ, რაც შემეძლო, გავაკეთე. მთელი ძალები დავახარჯე თამაშს.

**ნიკა ტოგონიძემაც** ბრწყინვალედ ითამაშა. ჩვენი ფოტოკორესპონდენტი ბადრი კეთილაძე გვიამბობდა — უნდა გესმინათ, რა კარგად კარნახობდა თავისიანებსო. რამდენჯერმე სახიფათო მომენტი განმუხტა, გამოსვლებზეც გვარიანად იჯოჩალა. მოკლედ, ფრეში ლომის წილი დაიდო.

— „ეინდჰოვენთან" ფრე ჩვენთვის ნამდვილად მიღწევა იყო. რაც შევძელით, მხოლოდ და მხოლოდ გულიანი თამაშისა და მონდომების წყალობით. აბა, „ეინდჰოვენთან" სხვა რა შეგვეძლო. მე მგონი, ცუდად არ გვითამაშია, თანაც, გოლი პენალტით გაგვიშვით. საერთოდ, არავის გამორჩევა არ მინდა, მაგრამ ჭიჭველიშვილის, როგორც დებიუტანტის მშვენიერი თამაშის გამოურჩევლობა არ იქნება. სალოლ, დათო.

ამ დროს გასახდელში „ბათუმის" ყოფილი პრეზიდენტი **რევაზ ჩელებაძე** შევნიშნე, სიხარულს ვერ ფარავდა:

— ბედნიერი კაცი ვარ. „ბათუმმა" დღეს დაამტკიცა, რომ საქართველოს მისი სახით ღირსეული გუნდი ჰყავს.

**პაატა მაჭუტაძე**, სადამდეც შეძლო, იბრძოლა, მაგრამ ახალტრავმამოშუშებული ბოლოს გადაიღალა და გამოცვალეს.

— ისეთ პრესტიჟულ მეტოქესთან, როგორიც „ეინდჰოვენია", უფეხო რომ ვყოფილიყავი, მაინც ვითამაშებდი. შესაძლოა, ცხოვრებაში ასეთი შანსი მეტად აღარც გაგვიჩნდეს და თავი რატომ უნდა დაზოგო?

ამის შემდეგ დინამოელთა გასახდელში აჭარის თავკაცი, **ასლან აბაშიძე** შემოვიდა. იგი გადაეხვია გუნდის ყველა წევრს და მიულოცა წარმატება:

— ჩვენთვის მთავარი იყო, გვერწმუნა, რომ ქართველებს შეგვიძლია ღირსეული თამაში ევროპელებთან. ქართულ ფეხბურთს დღეს არ ულხინს, მას პატარა ხელის შეშველება სჭირდება, რომ ევროთასების ტურნირებზე კონკურენციას გაუძლოს. ჩვენი ქომაგები „გამოცოცხლდნენ" — მაყურებელთა „ტალღებიც" კი დავინახეთ, ამას ხომ მოთამაშეებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. თანდათან მივდივართ დიდი ფეხბურთისკენ. ბედნიერებაა, ქართული გუნდი წარმატებას რომ აღწევს. ჩვენთვის უდაოდ დიდი წარმატებაა „ეინდჰოვენთან" ფრე. ჰოლანდიელებს ასეთი თანაბარი თამაში გაუმართო, პატარა ამბავი არ არის. თამაშის წინ და შესვენებაზე ფეხბურთელებს ვუთხარით, ასეთი დონის გუნდთან წაგებისთვის არავინ დაგვძრახავს, მაგრამ კარგ ფეხბურთს თუ არ ვუჩვენებთ, გაგვამტყუნებენ-მეთქი. ბიჭებმაც თავი გადადეს.

ჩვენ ბევრს ვაკეთებთ სპორტის განვითარებისთვის. ბიჭებიც ხედავენ ამას და ცდილობენ, კარგი თამაშით გაგვიმართლონ იმედი. ეს ზოგჯერ ბოჭავთ კიდეც. ჩვენი საუბრების მიზანიც ის იყო, რომ მათთვის დაძაბულობა მოგვეხსნა და ეს შევძელით კიდეც. ბედნიერი კაცი ვარ, რომ დღეს „ეინდჰოვენმა" ვერ იეინდჰოვენა.

**მერაბ მამულაშვილი**
**ბათუმი — თბილისი**



ეიკელკამპი მინდაძესა და ჭიჭველიშვილს შორის გაეჩხირა



თამაშის დროს განათების სისტემის ნაწილი მწყობრიდან გამოვიდა. ამის მიზეზით უცხოელმა ფოტორეპორტიორებმა გადაღებას საერთოდ მიანებეს თავი (კიდევ კარგი, რომ მსაჯმაც არ შეწყვიტა თამაში). ჩვენი ფოტოკორესპონდენტი კი ასეთ პირობებსაც არ შეეპუა, მაგრამ როგორი ხარისხის სურათებიც გამოუვიდა, ამას თავად ხედავთ. ისე „ბათუმი" — „ეინდჰოვენის" მატჩის ორგანიზატორებს მოედნის დახაზვაც დაუგვიანდათ. ამ საქმეს ისინი მხოლოდ თამაშის დაწყების წინ მორჩნენ.

ახლა კი პრეს-კონფერენციის შესახებ. პირველად სიტყვა მატჩის შედეგით აშკარად უკმაყოფილო ჰოლანდიელთა მწვრთნელს დიკ ადვოკაატს მისცეს.

— ჩვენებმა დღეს ძალიან ცუდად ითამაშეს. ყველა თამაშზე უამრავ საგოლე მომენტს ვქმნით, დღეს კი ეს არ გამოგვივიდა, თანაც, „ბათუმმა" კარგად ითამაშა. ამიტომაც ვერ მოვიგეთ, მაგრამ იმედი მაქვს, რომ მეორე შეხვედრაში უკეთ ვითამაშებთ და გავიმარჯვებთ.

კითხვაზე, თუ ვის გამოჰყოფდა ბათუმელთაგან, ადვოკაატმა უპასუხა, დაველოდოთ მეორე შეხვედრას, მხოლოდ ამის შემდეგ ვიტყვი, ვინ არის გამოსარჩევიო. მას არც თავისიანებში გამოურჩევია ვინმე, აღნიშნა, რომ გუნდმა მთლიანად ითამაშა ცუდათო.

— ქართველებს მხოლოდ დღევანდელი შეხვედრით არ გიცნობდით. თქვენზე წარმოდგენა აქამდეც მქონდა. შთაბეჭდილება დღესაც არ შემცვლია. ჩვენ ვიცოდით, რომ კარგ გუნდს ვხვდებოდით. ასეც მოხდა.

**შოთა ჭეიშვილმა**, სანამ თამაშს შეაფასებდა, იკითხა, როგორ ფიქრობთ, ხალხი მატჩის შედეგს როგორ შეაფასებსო. როდესაც ჟურნალისტმა დადებითად უპასუხა, მწვრთნელმა თქვა, რომ თავადაც ასე ფიქრობს და მოხარულია გულშემატკივრების ასეთი შეფასებით.

— მას-მედიის ზოგიერთი წარმომადგენელი თვლის, რომ ქართული ფეხბურთი მკვდარია. ეს აზრი რომ მცდარია, „დინამომ" და, ვფიქრობ, „ბათუმმაც" დაამტკიცეს. ბედნიერი ვარ, ქართველმა ბიჭებმა ასეთი ბრძოლისუნარიანობა რომ გამოამჟღავნეს. ჩვენ არასდროს არავისი გვშინებია. ასე იყო „ეინდჰოვენთანაც".

**— ჭიჭველიშვილს აქამდე ძირითადში არ უთამაშია. რა მოსაზრებით გამოიყვანეთ ასეთ პრინციპულ შეხვედრაში?**

— ვიცნობდი და ვენდობოდი. სხვანაირად არ ვათამაშებდი.

განმეორებით შეხვედრაში მეტოქეთა შანსები ჭეიშვილმა ასე შეაფასა:

— რა თქმა უნდა, შინ ჰოლანდიელებს უპირატესობა ექნებათ. მაგრამ იმედი მაქვს, რომ ბიჭები შეძლებენ ასეთ პრინციპულ შეხვედრაში მობილიზებას და სტუმრადაც არ შეირცხვენენ თავს.

„ეინდჰოვენის" მენეჯერი, წარსულში ბრწყინვალე დანიელი ფეხბურთელი ფრენკ არნესენი კლუბში ადმინისტრაციული საქმეებითაა დაკავებული და ამიტომაც იყო, მატჩის წინა დღეს, ვარჯიშზე, თავისთვის სარბენი ბილიკით მოედანს წრეებს რომ უვლიდა, წვრთნის საკითხებში კი არ ჩარეულა. მატჩის შემდეგ საკლუბო უნიფორმაში (მუქი ლურჯი პიჯაკი, ღია ფერის შარვალი და შინდისფერი ჰალსტუხი) გამოწყობილი, თავისიანების გასახდელთან იდგა.

**— ბატონო არნესენ, რა შთაბეჭდილება დაგრჩათ თამაშზე?**

— „ბათუმმა" კარგად ითამაშა. სწრაფი, ტექნიკური გუნდია, რომელსაც, ჩემი აზრით, სამომავლოდ კარგი რეზერვი აქვს. ხელსაყრელი მომენტებიც ჰქონდათ. საგანგებოდ პირველ ტაიმში შექმნილი ორი ეპიზოდია აღსანიშნავი. მომენტები ჩვენებსაც ჰქონდათ. ასე რომ, ურიგო შეხვედრა არ ყოფილა.

**— ალბათ თვლით, რომ „ეინდჰოვენს" შემდეგ ეტაპზე გასვლა გარანტირებული აქვს.**

— გარანტია არაფრისა გვაქვს. წინ მეორე მატჩია, რომელიც ბრძოლითაა გასაკელელი. ისე კი, ბუნებრივია, კარგი შანსი გვაქვს.

**— მოთამაშეთაგან ვის აღნიშნავდით?**

— „ბათუმის" გუნდმა ერთიანად კარგი შთაბეჭდილება დატოვა, ცალკე რომელიმეს გამოყოფა კი გამიჭირდება.

**— მე ორივე გუნდის ფეხბურთელებზე გეკითხებით.**

— „ეინდჰოვენში" ვინმეს გამორჩევით აღნიშვნა წესად არ გვაქვს. თან დღეს, როდესაც გუნდმა ცუდად ითამაშა.

რენე ეიკელკამპი იმსიმაღლეა, კალათბურთში თავდამსხმელად ივარგებდა. გასახდელიდან გამოსულს ინტერვიუ რომ ვთხოვეთ, წესი ასე გვაქვს: ჯერ ტელევიზიას უნდა ვესაუბროო და კვლავ მოედანზე გაბრუნდა, სადაც ჰოლანდიური კამერები და მიკროფონები ელოდა. იქიდან გამობრუნებულს დრო ორი „სწრაფი" პასუხისთვის ჰქონდა შემორჩენილი.

**— რენე, რას იტყვით იმ ბიჭზე (ჭიჭველიშვილი), პერსონალურად რომ გეთამაშებოდათ?**

— ძალიან მაგარია.

**— და მაინც, რატომ ვერ გაიტანეთ?**

— რატომ ვერ გავიტანე (იცინის)? იმიტომ, რომ გოლების გატანა ჩემი საქმე არაა. ხან გამაქვს, ხან არა.

**ილია ბაბუნაშვილი**
**ბადრი კეთილაძის ფოტოები**

# ისევ „ტორპედო“ — „დინამოს“ მატჩზე

## მოსკოვს ცრემლების არ სჯერა




კვირადღით მოსკოვში ჩასული, პირველ რიგში იმაში დავრწმუნდი, რომ ე. წ. „ლიცო კავკაზსკოი ნაციონალნოსტი“ აშკარად რუსეთის ტელევიზიის მიერ გაბუქული რამაა. ჩემი დაკვირვებით თუ ერთ ადგილას ჯორივით არ გაჩერდი, ისე არც არავინ გკითხავს — ვინ ხარ, საიდან მოსულხარო და არც ჩაწერის დამადასტურებელ ან სხვა საბუთებს მოგთხოვს ვინმე. ქუჩაში კი ჩაუწერელი თავად რუსიც იმდენი ირევა, ყველას შემოწმებას მოსკოვის კი არა, ნახევარი რუსეთის მილიცია ვერ აუვა. მოკლედ ასეა: ნურაფერს გააფუჭებ და თუ გინდ პალესტინელი ტერორისტი იყავი. არ მოგატყუებთ, რუსეთის ტელევიზიის პროპაგანდისტულ მანქანას ჩემზეც რომ დაუმჩნევია კვალი, მოსკოვში მივხვდი. აზერბაიჯანელ მესაზამთროებს შორიდანვე გვერდს ვუვლიდი, ემანდ ფერდში ბებუთი არ მეუშონ-მეთქი. აბა, რომელი ოლიმპიური ჩემპიონი მე ვიყავი, მაგრამ პოპოვი თუ იყო, რა? ისე, ცნობისთვის: პოპოვი აზერბაიჯანელებმა თუ დაჭრეს, სიკვდილს ქართველმა ექიმებმა გადაარჩინეს. მოკლედ, კავკასიელები მოსკოვში მაინც პირველ პლანზე არიან, ქართველებს კი მათ შორის ბოლო ადგილი სულაც არ უკავიათ. ხუმრობა როდია, ოფიციალურად მოსკოვში 600 000 ქართველი ცხოვრობს. ეს კი ნახევარი თბილისია. ხოლო უსაქმური, რა ეროვნებისაც არ უნდა იყოს, მოსკოვში მშიერი რომ დარჩება, ამაში თავადაც დავრწმუნდი. ახალდროებას ყველაზე უკეთ „ახალმა რუსებმა“ აუღეს ალღო. 20-25 წლისები არიან და მთელი ცხოვრება უკვე განაღდებული აქვთ. თუმცა, რუსთა დიდი ნაწილი მაინც ლუკმა-პურის მოსაპოვებლად იბრძვის. აქ მოსკოვზე, ახალ რუსებსა და ქართველებზე გვეყო, ახლა იმ ქართველებზე ვთქვათ, ვინც მივიდა, ნახა, გაიმარჯვა და ამ უზარმაზარი ქალაქის ყურადღება მყისიერად მიიპყრო.

თბილისის „დინამოს“ მოსკოვში ბევრი ელოდა. სხვა იყო ჩვენებურთა მოლოდინი, სხვა — რუსთა. ქართველებს ასე ახლობელი და მშობლიური გუნდი მონატრებოდათ და მისი მხოლოდ ხილვაც ეამებოდათ, რუსებს კი კარგი თამაშების ნოსტალგიასთან ერთად ჩვენზე უპირატესობის დადასტურების ჟინიც ღრღნიდათ, რათა შემდგომ ეთქვათ, აგრე მოგიხდებათ, სად გარბოდითო.

ორშაბათს „დინამოს“ ვარჯიშზე, რომელიც არ ჩატარდა, არაერთი ცნობისმოყვარე მოვიდა. ასე განსაჯეთ, ზოგიერთს „ფეიენოორდის“ ვარჯიშიც კი მიეტოვებინა და აქეთ, „ტორპედოს“ სტადიონზე გამოქცეულიყო. ასე რომ, ცსკა-ს უშუალო ქომაგებს თუ არ ჩავთვლით, სხვათა მთავარ ინტერესს „ტორპედო“ — „დინამოს“ მატჩი წარმოადგენდა. და იყო თამაშზე ერთი კითხვა-გადაჩურჩულება: ეს ცხრა ნომერი რა გვარია, აქედან ნაკრებში რამდენი კაცია და სხვა.

თამაშს კი ქართველთა სარეკორდოდ დიდი რაოდენობა დაესწრო. ამაზე წინა „სარბიელშიც“ ვწერდით. ვის აღარ ნახავდით აქ ზურაბ სოტკილავას, ანზორ კიკალეიშვილს, სოსო პავლიაშვილს და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენ სახელიან თუ „უსახელო“ ქართველს.

შეხვედრისას ჩემი საფიქრალ-საზრუნავი მქონდა. ცალკე პროფესიული მოვალეობა უნდა შემესრულებინა და ცალკე გულშემატკივრული ამბიცია დამეკმაყოფილებინა. მართალი რომ ვთქვა, ჩემს ცნობიერებაში ეს ორი რამ ერთმანეთს სულაც არ გამორიცხავდა, ნებისმიერი დონის ჟურნალისტს ხომ „თავისი“ გუნდი ჰყავს. საბედნიეროდ, იმ დღეს ორივე საქმეს წარმატებით დასრულება ეწერა, თორემ „დინამოს“ რომ ასე არ ეთამაშა, უფრო პირველი გადასწონიდა. ძნელი მისახვედრი არ არის, რა არასასიამოვნო და ძნელია წაგებულ თამაშზე წერა, თავის მართლება და ან სხვისი კრიტიკა, რაც ზოგს ადვილი ჰგონია. ბედად, „დინამომ“ თავსაც უშველა და მეც. განწყობა საუკეთესო იყო.

ჩემს ინტერესებში თამაშის მეორე დღეს რუსულ პრესაში გამოქვეყნებული რეცენზიების გაცნობა შედიოდა, მაგრამ მხოლოდ „სპორტ ექსპრესმა“ გამოიჩინა ოპერატიულობაცა და ობიექტურობაც. სხვებს კი ხუთშაბათამდე თავი არ მოუკლავთ. ნტვ-ს კომენტატორის ნაუბარიც მაინტერესებდა — თქვენგან განსხვავებით, მე ხომ მისი მოსმენის საშუალება არ მქონდა. ვენდობი ჩემი ერთი არაქართველი ნაცნობის ნათქვამს და არც მიკვირს, რომ „დინამოს“ წარმატება ბევრს არ გაუხარდა. ამ ჩემმა მეგობარმა, რომელიც თამაშს ვერ დაესწრო, მეორე დილით მითხრა — ტელევიზორს მივუჯექი, მაგრამ მერე კომენტატორის ნაბოდვარი ყელში რომ ამომივიდა, ხმას ჩავუწიე, სასიამოვნო მუსიკა ჩავრთე და ისე ვტკბებოდი ქართველობის ცქერითო.

ამ დროს, იქ, ბევრს ყველაზე მეტად ის აინტერესებდა, როგორ წააგო ჰოკეიში რუსეთის ნაკრებმა ამერიკასთან, თუმცა ეს მაინც იოლად გადაიტანეს. კი, მართალია, ეს „საზიზღარი“ ამერიკაა, მაგრამ რუსთა ოდინდელი ნუგეში ხომ ისაა, მათი მძლეველი ჩემპიონი რომ გახდება. აქ კი, აქ, ფეხბურთში რა მოხდა? უმრავლესობას ჰგონია — ქართველები სიხარულით მხოლოდ იმიტომ ჩადიან მოსკოვში, რომ ცხელი შხაპი მიიღონ. მაგრამ ამათაც და ბევრ სხვასაც „დინამომ“ ცივი წყალი გადაავლო: აქამდე არნახულ სტილში ითამაშა და თავის რუს გულშემატკივრებს კიდევ არაერთი მიუმატა.

„ტორპედო“ — „დინამოს“ თამაში და მატჩის შემდგომი პრეს-კონფერენცია რომ მორჩა, გულმა ცსკა — „ფეიენოორდის“ მატჩისკენ გამიწია. დროში ისე ვეტეოდი, რომ „დინამოს“ სტადიონზე, სადაც ეს შეხვედრა გაიმართა, მხოლოდ 15 წუთი დავაგვიანე. ამ 15 წუთში, როგორც მითხრეს, ბევრი არაფერი მომხდარა და ანგარიშიც ამაზე მეტყველებდა — 0:0. შეხვედრის პერიპეტიათა აღწერას არ შევუდგები, რადგან ასე დაგვიანებით იგი, ალბათ, არც თქვენ გაინტერესებთ. მეც უფრო „ცოცხალი“ კუმანის და, საერთოდ, „ფეიენოორდის“ ცხადად ნახვა მაინტერესებდა. თამაშზე კი იმის თქმა შემიძლია, რომ პირველი ტაიმი, რომელშიც მოსკოველებს ჰქონდათ საგრძნობი უპირატესობა, მეორე, ჰოლანდიურმა ნახევარმა შეცვალა. ისინი უფრო იღბლიანნი აღმოჩნდნენ და თამაში თავის სასარგებლოდ დაასრულეს. მნიშვნელოვანი, ჩემი აზრით, ის იყო, რომ ბრწყინვალედ ითამაშა კუმანმა, რომლის დაცვას „ბარსელონაში“ საუკეთესოს ვერ დაარქმევდი. ტარხანოვმა ასე რეკლამირებული ბრაზილიელი ლეონიდასი, მეტსახელად „ლიონია“, შეცვალა და ამის შემდეგ ცსკა-მ სერიოზული ხიფათი ვეღარც შეუქმნა მეტოქეს.

გამაოცა ცსკა-ს ქომაგთა ჯანმრთელობამ: ტაბლოს ქვეშ მჯდომი მოზრდილი ჯგუფი წელსზევით სულ გაშიშვლდა და იმ სიცივეში ასე გულშემატკივრობდა თავის გუნდს. მათმა თვითგვემამ, საკმაოდ დათბუნულ ჰოლანდიელ ქომაგთა გასახარად, შედეგი ვერ გამოიღო.

მატჩის შემდგომ პრეს-კონფერენციაზე ცსკა-ს მწვრთნელი ტარხანოვი იხტიბარს არ იტეხდა, „ფეიენოორდის“ თავკაცმა არი ჰაანმა კი რუსი ჟურნალისტის კითხვას, ასეთი უსახური თამაში რატომ აჩვენეთო, ისეთი გამომეტყველებით უპასუხა, რომ, თარჯიმნის კულტურულად ნათარგმნი — თამაშის ხარისხი არ მაინტერესებს, რაკი მოვიგეთო, მაინც — „ფეხებზე მკიდიას“ უფრო ჰგავდა.

ოთხშაბათს თბილისის ორი რეისი გაეერთიანებინათ და ამანაც გვარიანად დაიგვიანა თბილისში გამოფრენა. არასაფეხბურთო მგზავრების აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა და როცა ბორტგამცილებელმა ავიაკომპანია „ორბის“ სახელით ამავე თვითმფრინავში მყოფ თბილისის „დინამოს“ უეფას თასის მატჩში გამარჯვება მიულოცა, ისეთმა სიჩუმემ დაისადგურა, გეგონებოდათ, ამ გუნდს არა თუ მოუგია, არამედ სულაც ავიაკატასტროფაში დაღუპულაო. სხვისი არ ვიცი, მე კი სრულყოფილ ბედნიერებასთან ასე ახლოს არასდროს ვყოფილვარ. და თუ „დინამო“ საბოლოოდ მოაშთობს მოსკოვის „ტორპედოს“, სრულყოფილი ბედნიერება, ჩემიც და სხვებისაც, მაშინ ნახეთ.

**ვახტანგ ბზიკაძე**
**მოსკოვი — თბილისი**

გემოვნებაზე არ დაობენ. ჟურნალისტების გემოვნებაზე — მითუმეტეს. ვთქვათ, არ გინახავთ მოსკოვის „ტორპედოსა“ და თბილისის „დინამოს“ მატჩი. შეიძინეთ რამდენიმე რუსული გაზეთი და...

## ТБИЛИСЦЫ ИГРАЛИ В МОСКВЕ, КАК В ЛУЧШИЕ ВРЕМЕНА

– Пока – может быть. Но я ... знаю, что, если буду работать, ... ся победы, послужит для молодых грузинских футболис– ... – Что касается москвичей, то они, по-моему, не

## Торпедовцев «замочили» на родном поле...

## Московская милиция была в шоке: тысячи лиц кавказской национальности собрались в этот

## СПОРТ ЭКСПРЕСС

ამ მატჩს, ალბათ, მოსკოვის მთელი ქართველობა დაესწრო. ყოველ შემთხვევაში, შეძახილები „დინამო“! „დინამო“! ხშირად აშკარად ახშობდა „ტორპედო“! „ტორპედო“!-ს

თბილისელები მართლაც კარგები იყვნენ. განსაცვიფრებელი გახლდათ, როგორ ახერხებდნენ დინამოელები ასეთ უხეირო — ოღრო-ჩოღრო წუმპიან მინდორზე თვითმყოფადობის შენარჩუნებას. თუ ზოგჯერ ტორპედოელებს ბურთი ისე გაუსხლტებოდათ ხოლმე, თითქოს კედელს მიენარცხაო, დინამოელები, ვითომ არაფერი, ისე ათვინიერებდნენ მას. გეგონებოდათ, თბილისელებს ბუცებში მაგნიტი ედოთ — ისე უჩვეულოდ, მსუბუქად ეპყრობოდნენ ბურთს. თუმცა, ჩვენ იქნებ უბრალოდ დაგვავიწყდა „დინამო“?

–თუ პირველ ტაიმში „დინამო“ სიფრთხილით შესცქეროდა „ტორპედოს“, მეორეში მან ნაკუწებად აქცია მოსკოველთა დაცვა. ჯამარაული, კობიაშვილი, ხომერიკი წარამარა აბითურებდნენ ტორპედოელებს და პჩელნიკოვიც გვარიანად ახტუნავეს...

მატჩის ბოლოს ისე მოეჩვენა, რომ ტრიბუნებზე „დინამოს“ უფრო ქომაგობდნენ, ვიდრე „ტორპედოს“ — თბილისელთა თამაშის ეშხი გულგრილს ვის დატოვებდა.

**ალექსანდრ კრუჟკოვი,** „სპორტ-ექსპრესი“. 11 სექტემბერი

## СЕГОДНЯ

„სეგოდნიას“ კორესპონდენტს ორმაგი გრძნობა დაეუფლა მატჩის წინ: ერთი მხრივ, ცხადია, რუსული კლუბის მოგება ეწადა, მეორე მხრივ, როგორ არ უსურვო წარმატება თბილისის „დინამოს“ ახალ თაობას იმ გუნდისას, რომელსაც არაერთი დაუვიწყარი ფურცელი აქვს ჩაწერილი სამამულო ფეხბურთის ისტორიაში. მითუმეტეს, რომ ეს უკვე მეორედ (პირველად თანამეგობრობის ჩემპიონთა ზამთრის პირველობისას) საქართველოს ჩემპიონები საბჭოთა ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდის დავით ყიფიანის თავკაცობით ეწვივნენ მოსკოვს.

ჩვენ კარგად გვახსოვს, როგორ თამაშობდა ყიფიანი სამშაბათს კი ნათლად დავინახეთ, როგორი მწვრთნელი დადგა.

თანამეგობრობის თასზე დინამოელთა გამოსვლა მხოლოდ მატჩამდე გვახსოვდა, ხოლო როგორც კი თამაში დაიწყო, ვნახეთ სწრაფი, გამორჩეული ხელწერის მქონე გუნდი. ისეთი, როგორიც უნდა იყოს კიდეც თბილისის „დინამო“.

ყოფილმა ავტოქარხნელებმა, რომელთაც თავის სახელწოდებას ცოტა ხნის წინ „ლუჟნიკი“ მიუმატეს, პირწმინდად წააგეს და თუნდაც ჩავთვალოთ, რომ ერთადერთი გოლი მოსკოველებმა მეკარე პჩელნიკოვის შეცდომით გაუშვეს, რომელსაც ხელიდან გაუვარდა სველი ბურთი ჯამარაულის ზუსტად დარტყმული საჯარიმოს შემდეგ, უნდა აღინიშნოს: თბილისელები უფრო საინტერესოდაც თამაშობდნენ და უფრო ძლიერნიც იყვნენ.

ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ სველ ბალახზე მხოლოდ მასპინძლები ეცემოდნენ, მხოლოდ მათი დარტყმული ბურთები ხვდებოდა ტყლაპოში და გულშემატკივრებიც მხოლოდ სტუმრებს გულშემატკივრობდნენ. თუმცა ეს უკანასკნელი შთაბეჭდილება მოჩვენებითი არ იყო. ქართული დიასპორა სოლიდურად იყო წარმოჩენილი „ტორპედოს“ სტადიონზე. მეორე მხრივ, „ტორპედოს“ ბევრი გულშემატკივარიც არ შეიძლება არ აღფრთოვანებულიყო, თუ რა ადვილად წყვეტდნენ თბილისელები მათ წინაშე მდგარ ამოცანებს.

**ვიქტორ დრიუნინი,** „სეგოდნია“. 12 სექტემბერი

## КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

მოსკოვის მილიცია შოკში იყო: კავკასიური ეროვნების ათასობით ადამიანი შეიკრიბა იმ საღამოს დედაქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს, მაგრამ ისინი ძალზე მშვიდობიანად იყვნენ განწყობილნი (აბა რა იქნებოდა — მათ შორის ისეთი ინტელიგენტები იყვნენ, როგორიც მომღერალი ზურაბ სოტკილავა და მსახიობი მამუკა კიკალეიშვილია). თანაც შეკრების მიზეზიც საკმაოდ მშვიდობიანი იყო — უეფას თასის გათამაშების 1-32 ფინალი მოსკოვის „ტორპედოსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის. ხალხი სანახაობას ელოდა.

გავიდა ნახევარი საათი და ვერ გაიგებდი, ვინ ვინ იყო მოედანზე — ძალიან პრიმიტიულად და ერთნაირად თამაშობდნენ გუნდები. სველ ტრიბუნაზე გაისმა შეკითხვა: „ქართველები რომლები არიან?“ საფირმო ფინტები, მახვილგონივრული გადაწყვეტილებები, რითაც საბჭოთა პერიოდში განთქმული იყვნენ ქართველი ოსტატები, ახლა არ ჩანდა. ყველაზე მოხერხებული ტყლაპო იყო. ის დროდადრო ამხიარულებდა მაყურებლებს, მოთამაშეებს კი ასულელებდა.

პირველი ტაიმის ბოლოს ტორპედოელთა მეკარემ ვლადიმერ პჩელნიკოვმა უწყინარ სიტუაციაში სველი ბურთი გაუშვა ხელიდან — ისიც მოღალატურად შეგორდა კარში. ეს გოლი თბილისელთათვის იქცა ერთ ყლუპ ქართულ ღვინოდ — მათ დაიწყეს ისეთი თამაში, როგორიც უწინ იცოდნენ — სწრაფად და ტექნიკურად. სამწუხაროდ, ეს ცოტა ხანს გაგრძელდა.

შესვენების შემდეგ დინამოელები მხოლოდ იმაზე ზრუნავდნენ, შეენარჩუნებინათ თავისი მიღწევა — ერთადერთი გოლი, რომლისთვისაც დიდი საფასური გაიღეს — ოთხი ყვითელი ბარათი. ტორპედოელებმა კი დაამტკიცეს რეპუტაცია გუნდისა „დაარტყი — ირბინე“ — ნორმალური ფეხბურთი მათ მაინც ვერ ისწავლეს.

და ბოლოს. მოსაწყენი მატჩი შეიძლება ტრაგიკულად დამთავრებულიყო: სტადიონიდან გამოსვლისას ცენტრალურ გასასვლელთან, ვიღაცის გაუგებარი ქმედების გამო, ყველა მაყურებელი რკინის ღობესთან შეკრიბეს, ვიწრო გასასვლელიდან კი უშვებდნენ. მადლობა ღმერთს, რომ ბევრი საკუთარი მანქანით წავიდა (მაინც ქართველები არიან!) და ჭყლეტვა სასიკვდილო არ იყო, თორემ უბედურებას ვერ ავცდებოდით...

**სერგეი ემელიანოვი,** „კომსომოლსკაია პრავდა“. 12 სექტემბერი

## საბოლოოდ მეორე

ფსკოვში დამთავრდა უეფას ეგიდით მიმდინარე ოთხთა ტურნირმა შეგვახსენეს, რომ ორი ტურის მერე ჩვენი ყმაწვილები გათამაშებას ლიდერობდნენ, ბოლო ტურში ლიტველებთან საქართველოს ნაკრებმა ფრედ 0:0 ითამაშა. აქედან გამომდინარე, ჩვენების დაწევის იმედი მხოლოდ რუსებს თუ ექნებოდათ. მათაც შანსი ხელიდან არ გაუშვეს, რაშიც, ალბათ, ტურნირის ორგანიზატორებმაც შეუწყვეს ხელი. რუსებმა ბელარუსებთან თამაშის წინ უკვე იცოდნენ ჩვენი მატჩის შედეგი და, რა თქმა უნდა, ყველაფერი ზუსტად ისეააწყვეს, როგორც გამოადგებოდათ. რუსებს აუცილებლად უნდა მოეგოთ, თანაც დიდი ანგარიშით. ეს მათ შეძლეს და ბელარუსი 7:0 გაანადგურეს. ისე, ის ორი მატჩი ერთდროულად რომ დაწყებულიყო, უფრო ობიექტური იქნებოდა, მაგრამ რას იზამ: მასპინძელი მუდამ გარკვეული უპირატესობით სარგებლობს. საბოლოოდ ჩვენმა ყმაწვილებმა მეორე ადგილი იკმარეს. მათ რუსებმა უკეთესი ბურთების შეფარდების ხარჯზე გაასწრეს.

ბოლოს იმასაც დავსძენთ, რომ ჩვენი თხუთმეტწლამდელთა ნაკრები, ფაქტიურად, ორიოდ კვირის წინ შეიქმნა და პირველივე ტურნირზე, წაუგებლად, მეორე ადგილი ურიგო ნამდვილად არ არის...

ტურნირის საბოლოო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 9:2 | 5 |
| საქართველო | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| ლიტვა | 3 | 0 | 3 | 0 | 3:3 | 3 |
| ბელარუსი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:12 | 1 |

## „სამტრედია“ შინ ითამაშებს. გვასალია?

წინა ჩემპიონატის მიწურულს სამტრედიელთა საფეხბურთო გუნდს შინ თამაშის უფლება რომ ჩამოართვეს, ალბათ, გახსოვთ — ტრიბუნები იყო ავარიულ მდგომარეობაში. სამტრედიელებმა მაშინ ისღა მოახერხეს, რომ უვარგის ტრიბუნებზე დასხდომა აკრძალეს. დაიწყო ახალი ჩემპიონატი, მაგრამ შესაკეთებელის აღდგენას არავინ ფიქრობდა. უყურადღებობის ნაყოფი სამტრედიელებმა ისევ მოიმკეს: ფედერაციამ მათ საკუთარ სტადიონზე თამაში ისევ აუკრძალა და „სამტრედიამ“ მეხუთე ტურის საშინაო მატჩი „მარგვეთის“ წინააღმდეგ წყალტუბოში გამართა. აკი წააგეს კიდეც. ემანდ, საქმეები ისედაც არეული გვაქვს და მთლად არ დავიღუპოთო, იფიქრეს თურმე და შესაკეთებელი ორიოდ დღეში გამართეს. შედეგმაც არ დააყოვნა — მეშვიდე ტურში სამტრედიელები „სამგურალს“ შინ უმასპინძლებენ.

ეს პრობლემა კი მოაგვარეს, მაგრამ სხვა გამოუჩნდათ. პირველი ის არის, რომ კახა ელაშვილის გადადგომის შემდეგ მთავარი მწვრთნელი ჯერ კიდევ ვერ უპოვნიათ. მეორეც — ის, რომ მათი თავდამსხმელი ელდარ გვასალია, როგორც სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ, 15 სექტემბერს სამტრედიაში სათამაშოდ ჩასვლას სულაც არ აპირებს. ელდარი ამჟამად თბილისში იმყოფება და აქვე ვარჯიშობს. მიზეზი, ცხადია, ადვილი მისახვედრია — კლუბსა და ფეხბურთელს შორის არსებული დავალიანების გადაუხდელობა.

## „კახეთმა“ ჭვრიტიძე და ასლანაძე დაიმატა

თელაველებმა რომ ნახეს, გუნდის გაუძლიერებლად შორს ვერ წავალთო, დაფაცურდნენ და სასურველი ორი ფეხბურთელიც დაიმატეს. ვინც ეროვნულ ჩემპიონატს თავიდანვე თვალს ადევნებდა, უნდა ახსოვდეს „კახეთის“ თავდასხმის ლიდერი გოჩა ჭვრიტიძე, რომელიც „მეცხვარის“ მეტსახელითაც არის ცნობილი. მას შემდეგ, რაც მუხლის ტრავმა გაუმიზეზდა, გოჩა ბურთს არ გაჰკარებია, მაგრამ ფეხბურთიდან ჩამოშორებაც საძნელო საქმედ ეჩვენა. ჰოდა, 33 წლის ვეტერანმა თითქმის ერთი წელი იმკურნალა. ამან, ეტყობა, არგო — ვარჯიშიც დაიწყო და როცა ნახა ფორმაში შედიოდა, გუნდის ხელმძღვანელობას მიაკითხა. მათაც არ დაახანეს, ჭვრიტიძე განაცხადში შეიყვანეს და გოჩას სათამაშოდ გამოსვლა 15 სექტემბერსვე, ბოლნისში „სიონის“ წინააღმდეგ შეუძლია.

ბოლნისელთა წინააღმდეგ, ალბათ, თბილისის „დინამო-2“-ის ყოფილი მეკარე დავით ასლანაძეც ითამაშებს. დათო ასაკის გამო დინამოელთა ფარმ-კლუბში ვერ მოხვდა, მარტო ვარჯიშით კი დიდად რომ ვერ იხეირებდა, ფაქტია. ამიტომ „დინამოს“ ხელმძღვანელებმა სწორი გადაწყვეტილება გამოიტანეს — ახალგაზრდა მეკარე ერთი წლით თელაველებს ათხოვეს. ამით „კოლხეთიც“ მოიგებს, რადგან მათი ამჟამინდელი კარის დარაჯი ბეწუკელი მთლად საიმედოდ ვერ ირჯებოდა. მოკლედ, „კახეთმა“ სოლიდური შევსება მიიღო.

## ფეხბურთი

### თასების თასის მეთექვსმეტედფინალი

პირველი მატჩები. 12 სექტემბერი

Cup Winners' Cup

დინამო (ბათუმი, საქართველო) — პ.ს.ვ. (ეინდჰოვენი, ჰოლანდია) 1:1
ნიმი (საფრანგეთი) — ჰონვედი (ბუდაპეშტი, უნგრეთი) 3:1
შტურმი (გრაცი, ავსტრია) — სპარტა (პრაღა, ჩეხეთი) 2:2
კონსტრუქტორული (კიშინიოვი, მოლდოვა) — გალათასარაი (თურქეთი) 0:1
კაიზერსლაუტერნი (გერმანია) — ცრვენა ზვეზდა (ბელგრადი, იუგოსლავია) 1:0
მიუპა 47 (ანიალენკოსკი, ფინეთი) — ლივერპული (ინგლისი) 0:1
სიონი (შვეიცარია) — ნივა (ვინიცა, უკრაინა) 2:0
ორჰუსი (დანია) — ოლიმპია (ლუბლიანა, სლოვენია) 1:1
სერკლ ბრიუგე (ბელგია) — ბრანი (მინდე, ნორვეგია) 3:2
ლოკომოტივი (მოსკოვი, რუსეთი) — ვარტექსი (ვარაჟდინი, ხორვატია) 1:0
რეიკიავიკი (ისლანდია) — ა.ი.კ. (სტოკჰოლმი, შვედეთი) 0:1
ბარსელონა (ესპანეთი) — ა.ე.კ. (ლარნაკა, კვიპროსი) 2:0
ბენფიკა (ლისაბონი, პორტუგალია) — რუხი (ხოჟუვი, პოლონეთი) 5:1
ა.ე.კ. (ათენი, საბერძნეთი) — ჰემლონი (ჰუმენი, სლოვაკეთი) 1:0
გლორია (ბისტრიცა, რუმინეთი) — ფიორენტინა (ფლორენცია, იტალია) 1:1
ვადუცი (ლიხტენშტეინი) — პარი სენ-ჟერმენი (საფრანგეთი) 0:4

# სტუმრად ბობოლებსაც უჭირთ

ბათუმელთა სახელგანთქმული სტუმრისა არ იყოს, ხუთშაბათს თასების თასის სხვა ფავორიტებსაც არ ჰქონდათ მთლად იოლი დღე. მითუმეტეს მათ, ვინც სტუმრად თამაშობდა. მხოლოდ თასის ახლანდელმა მფლობელმა „პარი სენ-ჟერმენმა" გაილაღა, თუმცა მისი მეტოქე, ალბათ, მიმდინარე გათამაშებაში ყველაზე სუსტია. „ვადუცთან" დიდი ანგარიშით გამარჯვებას სათავე მე-12 წუთზე მცველმა პოლ ლე გუენმა თავურით დაუდო. პირველი ტაიმის მიწურულს პარიზელებმა კიდევ ორჯერ იზეიმეს — ჯერ პანამელმა დელი ვალდესმა (40), მერე კი ბრაზილიელმა ლეონარდომ (44). მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულმა ბერნარ ალუმ (73) მეოთხე შეაგდო.

ამაზე მეტი გოლი გუშინწინ მხოლოდ „ბენფიკამ" გააზერხა. ხოჟუველი სტუმრები 24-ე წუთამდე მედგრად იდგნენ, აქ კი ერთ წუთში ორი გაუშვეს — ჯერ დონიზეტის დარტყმული, მერე ჟოაო პინტუსი. მალე ჟამირმა საჯარიმო დარტყმაც გოლად აქცია. არც მე ვიცი საჯარიმოს ნაკლებად შესრულებაო, გვიჩვენა ბრაზილიელმა ვალდომ და მატჩის ბოლო წუთზე მეხუთედ გაამწარა პოლონელთა მეკარე, ვინც მასპინძელთა ურიცხვმა შეტევებმა ერთობ დალალა. მანამდე, 68-ე წუთზე იმავე ვალდომ შეაგდო, სამ წუთში კი, პოლონელთა ერთადერთი გოლი — ცესიორმა. მოკლედ, ამ ორი გუნდის, „ბენფიკასა" და „პარი სენ-ჟერმენის" გარდა, ვერავინ იტყვის — თავი მთლად ქუდში მაქვსო.

ბისტრიცაში „ფიორენტინა" უკვე მესამე წუთზე აღმოჩნდა მდევრის როლში — რუმინელთა პირველივე შეტევა ლაზარის გოლით დასრულდა. სტუმრებმა პირველ ტაიმში ვერაფერი გააწყვეს, მეორეს დასაწყისში კი, მეორე წუთზევე, გაბრიელ ბატისტუტამ თავისი გოლი გაიტანა, თუმცაკი მერე ვერც ერთმა და ვერც მეორე გუნდმა ამას ველარაფერი დაამატეს — 1:1. „ფიორენტინას" შემადგენლობა ასეთი იყო: ტოლდო, კარნაშალი, ფალკონე (პუშედუ 62), პიაჩენტინი (ბაიანო 72), ამორუზო, ფირიკანო, შვარცი, ბიჯიკა (კოისი 83), ბატისტუტა, რუი კოშტა, რობიატი.

გაუჭირდა „ლივერპულსაც". რუსეთის საზღვრიდან ასიოდ კილომეტრში მდებარე ფინურ ქალაქ კუოვოლაში ამ ქალაქისთვის სარეკორდოდ ბევრი, 5 ათასი მაყურებლის თვალწინ, ურიცხვი ტიტულის მქონე „ლივერპულმა" მხოლოდ 61-ე წუთზე გატანილი კინკილა გოლით მოიგო. ერთადერთი კი იყო, მაგრამ გოლი ერთობ ლამაზი გამოვიდა. მისი ავტორი სტუმრთა დანიელი ბიორნებიუ იყო.

ასევე ლეგიონერის მეოხებით მოიგო სტუმრად „გალათასარაიმ". შვეიცარიელი კნუპის 73-ე წუთზე გატანილი გოლით თურქებმა მოლდოვის „კონსტრუქტორულს" სძლიეს.

თუმცა, იმ დღეს მარტო სტუმრად მოთამაშე ფავორიტებს როდი გაუჭირდათ. ვინიცის „ნივა" პირველ ტაიმში მედგრად დაუდგა „სიონს", მაგრამ მეორეში ველარ გაუძლო და კოლომბოს (51) და ბონკინის (85) გოლებით დამარცხდა. მაგრამ ეს კიდევ არაფერი — ასევე 2:0 მოიგო „ბარსელონამ", ვისაც ხელიდი ანგარიშით გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ.

ვინც ესპანეთის ჩემპიონატის მეორე ტურის მატჩი „ბარსელონა" — „ესპანიოლი" იხილა, არ გაუკვირდება, რომ მოედნის საფარის უვარგისობის გამო ხუთშაბათის შეხვედრა „ნოუ კამპზე" არ ჩატარდა. თამაშის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე გადაწყდა, რომ მოსალოდნელი ძლიერი წვიმის გამო მატჩი ბარსელონის სხვა სტადიონზე გამართულიყო. ეს გადაწყვეტილება მასპინძლებმა კვიპროსული გუნდის წარმომადგენლებთან და უეფას დელეგატთან, გერმანელ გიუნტერ მანიგთან კონსულტაციების შემდეგ მიიღეს. მონჟუიკის ოლიმპიურ სტადიონზე ასვლა (იგი მონჟუიკის მთაზე მდებარეობს) ბევრ ბარსელონელს დაეზარა. საყურებელიც თითქმის არაფერი იყო. პირველ ტაიმში ბრაზილიელმა რონალდომ ერთი შეაგდო. შესვენებაზე რობსონმა სამი შეცვლა გააკეთა, მაგრამ შედეგი იგივე მიიღო — კვლავ რონალდოს ერთი გოლი, რომლის დროსაც პასი სერხიმ გააკეთა, ვინც ამ სტადიონზე 1992 წლის ოლიმპიადის დროს თამაშობდა და მოედანს კარგადაც იცნობდა.

მეორებუნდესლიგელმა „კაიზერსლაუტერნმა" შინ ვეგმანის 59-ე წუთზე გატანილი თავურით „ცრვენა ზვეზდა" დაამარცხა.

**ბიბა კობახიძე**

## ჰოკეი

# ანგარიში გაყაიმდა

მონრეალი. 12 სექტემბერი

**აშშ — კანადა 5:2**

**შაიბები: ლეკლერი (სუტერი, მოდანო, 8), ლეკლერი (სმოლინსკი, ამონტე, 22), ჰალი (ჩელიოსი, 36), ტკაჩუკი (დ. ჰეჩერი, 59), იანგი (60) — შენაჰანი (ლინდროსი, 10), საკიკი (ლინდროსი, შენაჰანი, 55).**

მიუხედავად პირველ მატჩში დამარცხებისა, მეორეში კი მაყურებელთა მტრული განწყობილებისა, ამერიკელებმა მაინც შეძლეს ლამაზი, შემტევი თამაშის ჩვენება და კანადელებს საერთო ანგარიში გაუყაიმეს.

შეხვედრის უმეტეს ნაწილს ამერიკელები აკონტროლებდნენ, თუმცა პირველ პერიოდში გადამწყვეტ უპირატესობას ვერ მიაღწიეს. პირველი გოლი მაშინ გავიდა,



ჯონ ლეკლერს გოლის გატანა უხარია, პოლ კოფი (77) და ადამ ფუტი (52) კი უმწეოდ მისჩერებიან

როცა კანადელი კოფი უკვე აპირებდა საჯარიმო სკამის დატოვებას — კარგი კომბინაცია ლეკლერმა დაასრულა, სამი წუთის შემდეგ კი შენაჰანმა რიცხობრივ უმრავლესობაში გაათანაბრა.

ისევე როგორც პირველ მატჩში, ამერიკელთა საუკეთესო სნაიპერებმა მეორე პერიოდში ორი შაიბა შეაგდეს — ჯერ ლეკლერმა გაიტანა თავისი მეექვსე გოლი თასზე, შემდეგ კი ჰალმა ორამდე გაზარდა სხვაობა. აღსანიშნავია, რომ ლეკლერმა, რომელიც ამჟამად „ფილადელფიის" ღირსებას იცავს, ზუსტად სამი წლის წინ, მონრეალში, სტენლის თასის ფინალში, სამივე მატჩში გაამარჯვებინა თავის გუნდს. იგი ახლაც აღმავლობას განიცდის და შეიძლება თასის საუკეთესო მოთამაშეც გახდეს. ყოველ შემთხვევაში, ფინალში მის ანგარიშზე უკვე 4 (3-1) ქულაა.

შეხვედრის ბოლოს კანადელები მთელი ძალით ათამაშდნენ. განსაკუთრებით საკიკი-ლინდროს-შენაჰანის ტრიო აქტიურობდა. საკიკმა რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენა და სხვაობა შეამცირა. ბოლო ორი-სამი წუთი ნჰლ-ის საუკეთესო მატჩების სტილში ჩატარდა. კანადელებმა ყველაფერი იღონეს — მეკარე შეცვალეს, მეექვსე მოთამაშეც გამოვიდა, მაგრამ... ამერიკელებმა ორჯერ დასაჯეს მეტოქე.

ასე რომ, ამერიკელებმა ძალზე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს და აჩვენეს, როგორ უნდა გრეცკის, მესიეს და კოფის ნეიტრალიზება (მათ ანგარიშზე მხოლოდ ორი პასია ორ თამაშში). კანადის თასის ისტორიაში ეს მეორე შემთხვევაა, როცა გამარჯვებულის გამოვლენას მესამე მატჩი დასჭირდა. პირველი 1987 წლის ფინალი კანადა — სსრკ იყო.

**სამველ ლარიბიანი**

გოგი ახვლედიანის

## სვეტი

# არასოდეს სთქვა არასოდეს... ორი მანჩესტერი

ამ განთქმულ კინოსურათს მე ასე გადავაკეთებდი — არასოდეს სთქვა „მანჩესტერ იუნაიტედი". გამორჩევით მაშინ, როცა ეს გუნდი კარგა მანძილით გასცდება იმ მოხდენილ „ოლდ ტრეფორდს", ლა მანშს გადაცურავს და კონტინენტზე გადავა.

როგორც კი ალექს ფერგიუსონის გუნდი ევროპის რომელიმე ქალაქში მოხვდება სათამაშოდ (გინდა ეს ქალაქი სტალინგრადი იყოს), იქ მთავრდება მანჩესტერული ფეხბურთი. გინდა თუ არა, უშველებელი ხმაურის, პომპეზურობის და არტისტული მიხრა-მოხრის მიუხედავად, ინგლისის საკლუბო ლიდერი ნაციონალური მნიშვნელობის გუნდად რჩება.

ჩანს, ერიკ კანტონაც მხოლოდდამხოლოდ კუნძულის მოთამაშე ყოფილა და მეტი არაფერი. წინა უიქ-ენდზე მან ურთულესი გოლი შეაგდო „ლიდსის" კარში, „დელე ალპიზე" კი, როგორც იმერლები იტყვიან, ცივი მჭადი უვარდებოდა ხელიდან.

ამ გუნდის, ამ მართლაც ალისფერი კოხტაპრუწების სიდიადე, მხოლოდ კუნძულით შემოიფარგლება. როგორ შეედრება „ემიუ" ოდინდელ „ლივერპულს", რომელიც შინაც და გარეთაც პირველი იყო და ყველაფერს ფშვნიდა?

მაშ, არსებულა ორი მანჩესტერი — კუნძულისა და ევროპისა. ერთი მაგარი და მეორე თხლე. ევროპის მანჩესტერი ისეთი გუნდია, ე.წ. „იქსდვას" რომ ვერ შებედავ, კუნძულისა — პირიქით.

ამ სვეტს თქვენ შაბათს კითხულობთ, მე კი ოთხშაბათს ღამით ვწერ, ჩემპიონთა ლიგის პირველი ტურის გასრულების შემდეგ და ვფიქრობ აი, რის გამო:

რაშია მანჩესტერის ორსახოვნების საიდუმლო?

ასე მგონია, რომ ეს საიდუმლო თავად გუნდის მწვრთნელშია. სხვანაირად როგორ წარმოიდგენ, რომ ინგლისის მარადიული ჩემპიონი ხან თურქმა ამარცხოს, ხან რუსმა, ხან კიდევ ვიღაც ოხერმა?

ალექს ფერგიუსონი თავისი გაქანებით ერთი საშუალო მენეჯერია. მას ვერ შევადარებთ ვერც ჯორჯ გრეჰემს, ვერც კენი დალგლიშს და ვერც კევინ კიგანს. მაგრამ ეშმაკი შოტლანდიელი ჯერჯერობით ერთადერთი კაცია კუნძულზე, ინგლისურ ფეხბურთს რომ გასაღები მოარგო. ფერგიუსონი არც გულიტის მსგავსი ავანგარდისტია და არც ვენეიბლზის დარი შემოქმედი. უბრალოდ, ფერგიმ ხაზი დაიჭირა — მან შეიმუშავა ინგლისურ კლუბებთან მოგების ფორმულა. მან მოარგო გასაღები ლიბერალურ და უეშმაკო ინგლისურ დაცვას და ამ გასაღების მოსარგებლად ალისფერთა ტაქტიკიდან ინგლისური ელემენტი გააქრო. აბა ნახეთ, განა მანჩესტერი ინგლისური კლუბია? მე ამას უფრო ფლანდრიულ-გალურ მანერას დავარქმევდი. ფერგიუსონმა გუნდს მხოლოდ ინგლისური ტემპი დაუტოვა და კანტონისტური იერით შეჭურვა.

ფერგიუსონის „რეფორმა" უხმაურო იყო, თუმცა ჰოდლის „ჩელსიზე" ერთი ამბავი შეიქნა.

მაგრამო, ისევ ინგლისელმა თქვა, ჩვენ განა კუნძული ვართო.

ის, რაც კუნძულს ერგება, კონტინენტზე არ გამოდგება. კონტინენტზე ასეთი „მანჩესტერები" ასობით უნახავთ. ევროპაში ჩამოსულ „კოხტაპრუწებს" წამსვე სუროგატული იერი დაედებათ ხოლმე.

ფერგიუსონი არც კაპელოა და არც ჰოჯსონი (დღეს უბრძენესი ინგლისელი). ის უბრალოდ წითელცხვირა ალექსია და არ დაუჯეროთ, როცა ამბობს: „მე უკვე ვიცი, როგორ ვითამაშო ევროპაში. იუვეს მაგრად დავხვდებით." დიახ, მანჩესტერმა თავი მოიკლა, იომა და ოფლი დაღვარა, მაგრამ მაინც წააგო, რადგან იუვეს ფილოსოფია სხვაა, ვიდრე „ლიდსისა". ევროპის ჩემპიონს ფლანდიური „შტუჩკებით" ვერ გააცურებ — მისთვის კანტონას კუნძულური ტრიუმფი დიდი არაფერია. ევროპაში მოსული მანჩესტერი უკეთეს შემთხვევაში განწირულ მებრძოლად გვევლინება, უარესში — უსახურ და სამარცხვინო ბრბოდ.

რატომ? აკი გითხარით — მისი ფეხბურთის გასაღები მხოლოდ ერთ კლიტეს აღებს. ღმერთმა ქნას, ორივე გააღოს, მაგრამ ამისთვის...

ეჰ, ამისთვის ბობ პეისლი ან ბრაიან კლაფია საჭირო.

## რაგბი

საქართველოს XXIX პირველობა

ექვსეულის პირველი ტური

11. IX. ჭყონდიდლის დასახლება

**აზოტი 14:45 ყოჩები**

(0:31). მსაჯი გოჩა აბაშიძე

აზოტი — 2ლ: ზ. ბერიშვილი, მინდორაშვილი; 2გ: გოგიშვილი

ყოჩები — 7ლ: ჩიქოვანი - 2, ტყეშელაშვილი - 2, წიკლაური, მხეიძე, ლიპარტელიანი; 5გ: ტეფნაძე

ქუთაისი

**აია 3:23 ქორები**

(3:10). მსაჯი პაატა ნარიმანაშვილი

აია — ს: ე. ძაგნიძე

ქორები — 2ლ: ვაშაძე; 2გ და 3ს: ჩავლეიშვილი

12. IX. ვაკე

**გუმარი 46:16 გელათი**

(36:6). მსაჯი აბაშიძე

გუმარი — 8ლ: ბუგიანიშვილი - 2, თედორაძე - 2, ჩიქვინიძე, ჯიმშელაძე, ბ. იურინი, შ. მოდებაძე; 3გ: მაჩიტიძე - 2, მოდებაძე

გელათი — ლ: ჯგუფური; 2ს: შვანგირაძე, შარვაშიძე; ა: შვანგირაძე. გააძევეს მაჩალაძე

დადგინდა გელათი — აიას მატჩის ანგარიშის სტრუქტურა. გელათის მონაგარია (დ. გ., 6ს, 125 ქულა), აიასი — 4ლ (20 ქულა).

თბილისელთა დაჟინებით გაუქმდა გელათი — ქორების 23 ივნისის მატჩის შედეგი. ქორებს დაგვიანებისთვის მიუსაჯათ წაგება და საცხრილო ქულაც დაექვითათ.

ჩეხეთში გამგზავრების წინ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ყოჩები | 15 | 13 | 0 | 2 | 490:117 | 70- 9 | 26 |
| გუმარი | 15 | 13 | 0 | 2 | 485:151 | 70-12 | 26 |
| ქორები | 15 | 10 | 0 | 5 | 324:128 | 41-10 | 19 |
| აია | 15 | 8 | 0 | 7 | 351:169 | 44-18 | 15 |
| გელათი | 15 | 6 | 1 | 8 | 200:356 | 14-51 | 13 |
| აზოტი | 15 | 5 | 1 | 9 | 145:348 | 17-52 | 10 |

ახლა პირველობაზე გამოცხადდება ორკვირიანი შესვენება, რაც გამოწვეულია იმით, რომ იქეთა კვირას, 22 სექტემბერს, საქართველო პრაღაში ჩეხეთს უნდა ეთამაშოს. ექვსეულის მეორე ტური 26 სექტემბერს გაიმართება.

ლიდერები — ყოჩები და გუმარი 10 ოქტომბერსა და 14 ნოემბერს შეერკინებიან ერთმანეთს. ყოჩები ქორებს ეთამაშებიან 26 სექტემბერსა და 29 ოქტომბერს, ხოლო გუმარი — ქორების მატჩები 5 ოქტომბრისა და 9 ნოემბრისთვისაა დანიშნული.

ექვსეულის ორის წრის შემდეგ დადგინდება ფინალური ოთხეული, რომელიც ახალ წლამდე კიდევ ორ წრედ ითამაშებს ჩემპიონის გამოსავლენად. რაც შეეხება საერთაშორისო ასპარეზს, ჩეხეთში სტუმრობის გარდა ჩვენებს რუსეთთან თამაშიც ელით — თბილისში, 20 ოქტომბერს.

## ჭადრაკი

# ამ ოლიმპიადაზე მაინც

15 სექტემბერს ერევანში იწყება მსოფლიოს ოცდამეთორმეტე საჭადრაკო ოლიმპიადა, სადაც ქვეყანათა სარეკორდო რაოდენობა — 127 იყრის თავს. მამაკაცთა შორის მთავარი ფავორიტი რუსეთის მეტად ძლიერი ნაკრებია: კასპაროვის, კრამნიკის, სვიდლერის, ბირეევის, დრეევის და რუბლიოვსკის შემადგენლობით. ოლიმპიადაში მონაწილეობაზე კვლავ უარი განაცხადა კარპოვმა. მიზეზი ნაცნობი და ძველია — სანამ რუსეთის ფედერაციას ახლანდელი ხელმძღვანელობა ეყოლება, იგი ოლიმპიადაში მონაწილეობას არ მიიღებს. რუსეთის ვაჟთა ნაკრებს, ალბათ, ძნელად თუ გაუწევს ვინმე კონკურენციას, მიუხედავად იმისა, რომ რიგ ქვეყნებს ძლიერი პირველი ნომრები ჰყავთ. ბულგარელებს — ტოპალოვი, ინდოელებს — ანანდი, ამერიკელებს — გულკო. სიტყვამ მოიტანა და, ცნობილი ამბავია, რომ ყოფილი საბჭოთა მოჭადრაკეები აქეთ-იქით მიმოიფანტნენ ბედის საძიებლად და სხვადასხვა ქვეყნის გუნდებში თამაშობენ. მაგალითად, სალოვი ესპანეთშია, ბელიავსკი — სლოვენიის ნაკრებში, იუსუპოვი — გერმანიისაში. ისრაელის ნაკრები კი თითქმის მთლიანად საბჭოთა კავშირიდან წასული ებრაელებისგან შედგება და მას იუდასინი უდგას სათავეში. თუმცა რუსებივით თანაბარი შემადგენლობა არცერთს არა ჰყავს. საქართველოს ვაჟთა გუნდი (კაპიტანი დვით გურგენიძე) საკმაოდ სერიოზული და ანგარიშგასაწევი ძალა იქნება ნებისმიერი მეტოქისთვის. ერევანს იგი ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა: ზურაბ აზმაიფარაშვილი, გია გიორგაძე, ზურაბ სტურუა, ლაშა ჯონჯღავა, გენადი ზაიჩიკი, ხვიჩა სუპატაშვილი. ბოლო ხანებში ქართველმა ვაჟებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს საერთაშორისო ასპარეზზე: აზმაიფარაშვილი მსოფლიო რეიტინგით მეთოთხმეტეა, არც გიორგაძეც ჩამორჩება წამყვან გროსმაისტერებს. რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში გამოიჩინეს თავი სტურუამ და ჯონჯღავამ. ასე რომ, საქართველოს ნაკრებს შესწევს უნარი კონკურენცია გაუწიოს მსოფლიოს ძლიერ საჭადრაკო ქვეყნებს და წინა ოლიმპიადაზე მიღწეული შედეგი (მე-8 ადგილი) გააუმჯობესოს.

თუმცა ჩვენი ყურადღება უფრო მეტად ქალთა შეჯიბრისკენ იქნება მიმართული, რადგან ჩვენს ნაკრებს წინა ოლიმპიადის გამარჯვებულის ტიტულის დაცვა მოუწევს. შემადგენლობა იგივეა: მაია ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი, ქეთევან არახამია და ნინო გურიელი. ცნობილია, რომ შესუსტებული შემადგენლობით ჩამოვა უნგრეთის ნაკრები: პოლგარებიდან მხოლოდ სოფია ითამაშებს. იუდითი კვლავ უნგრეთის ვაჟთა ნაკრების პირველ დაფაზე იასპარეზებს, მსოფლიო ჩემპიონი ჟუჟა კი ბავშვს ელოდება. სხვათა შორის, ამავე მიზეზით ამერიკელთა ნაკრებს გამოაკლდა ელენა ახმილოვსკაია. სამაგიეროდ, გაძლიერდნენ რუსები — ალისა გალიამოვა უკრაინელ მეუღლეს, ივანჩუკს გაეყარა და მშობლიურ ყაზანს დაუბრუნდა.

ერევანში გამგზავრების წინ ვესაუბრეთ საქართველოს ქალთა ნაკრების კაპიტანს, საერთაშორისო დიდოსტატს ნანა ალექსანდრიას.

**— ვინ იქნება თქვენი მთავარი მეტოქე?**

— მთავარი კონკურენტები რუსები იქნებიან. გალიამოვა, მატვეევა, პრუდნიკოვა, ზაიცევა — საკმაოდ ძლიერი შემადგენლობაა. ანგარიშგასაწევი ძალაა ჩინელებიც. სხვებს სერიოზულ მეტოქეებად არც მივიჩნევთ.

**— უნგრელები?**

— წინასწარი მონაცემებით, მათ არ ეყოლებათ ორი პოლგარი: უკვე ტრადიციულად იუდითი და ჟუჟა. მაგრამ ჟუჟა რომც იყოს, უნგრელების შიში არ გვაქვს. წინა, მოსკოვის ოლიმპიადა მინდა გავიხსენო. ჩვენს ძირითად კონკურენტებს, უნგრელებს და ჩინელებს მესამე დაფა, ფაქტიურად, ჩავარდნილი ჰქონდათ. ამ დაფაზე ცუდად თამაშობდნენ მადლი და სათადარიგო ჩონკიჩი. არც ჩინელები — პენგი და ცინი გამოირჩეოდნენ. ორი, თუნდაც კარგი მოჭადრაკით კი, ჩვენთან გამკლავება ძნელი იყო. სწორედ ამიტომ მივიჩნევ ამჯერად მთავარ მოცილედ რუსეთის ნაკრებს. რუსებს თანაბარი შემადგენლობა ჰყავთ.

**— ექს-ჩემპიონი სიუ ჟუნი თუ იქნება ჩინეთის ნაკრებში?**

— დიახ, იგი პირველ დაფაზე ითამაშებს. ჩინელებს ჰყავთ კიდევ ერთი მოჭადრაკე, რომელმაც ჩემი ყურადღება ჯერ კიდევ წინა ოლიმპიადაზე მიიპყრო — ჩუ ჩენი. იგი მაშინაც კარგად თამაშობდა, ახლა კი გარკვეული გამოცდილებაც აქვს მიღებული...

**— ჩვენი გუნდის საბრძოლო მზადყოფნაზე რას გვეტყოდით?**

— სათამაშო პრაქტიკა თითქმის არც ერთს არ აკლია. გურიელმა გერმანიაში ითამაშა, ჩიბურდანიძემ — გერმანიაში და იუგოსლავიაში, იოსელიანმა — ბულგარეთში. ქეთევან არახამია, მოგეხსენებათ, შოტლანდიის ნაკრების კაპიტანს ჯონათან გრანტს გაჰყვა ცოლად და პირდაპირ ერევანში შემოგვიერთდება. ყველა მათგანმა წარმატებით ითამაშა საერთაშორისო ტურნირებში. ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, ჩვენ ყველაზე ძლიერი ნაკრები გვყავს, მაგრამ არის წმინდა ფსიქოლოგიური სირთულეები. ჯერ ერთი, ჩვენი ნაკრების საშუალო ასაკი ოცდაცამეტი წელია, რაც ოლიმპიადაში მონაწილე ბევრი გუნდის საშუალო ასაკზე მეტია. ასაკს კი უდიდესი გამოცდილებასთან ერთად თითოეული მოჭადრაკის მიერ გადატანილი უამრავი ფსიქოლოგიური სტრესი ახლავს. თანაც, საქართველოს ნაკრებისგან ყოველთვის პირველ ადგილს მოითხოვენ და ესეც დიდი ტვირთია. ახლა მთავარია, შევინარჩუნოთ სიმშვიდე და ყოველგვარი აღელვების გარეშე კვლავაც დავამტკიცოთ ჩვენი საჭადრაკო კლასის უპირატესობა. თუმცა ოლიმპიადებზე ისეც ხდება, რომ რომელიმე, კლასით არცთუ მაღალი და არცთუ ძლიერი ოსტატი, ერთ პარტიაში მობილიზებით სასურველ შედეგს აღწევს. თუ ჩვენი დიდოსტატები ნერვიულ დაძაბულობას გაუმკლავდებიან და გაუმართლებელ ჩავარდნებს თავს დააღწევენ (ასეც შეიძლება მოხდეს), მაშინ ყველაფერი კარგად იქნება. მთავარი ისაა, რომ ჩვენ გვყავს საერთო ინტერესებით გაერთიანებული გუნდი, რომელიც ყოველნაირად შეეცდება, დამოუკიდებელი საქართველოს სახელით მესამედ მოიპოვოს ვერა მენჩიკის თასი. თუმცა, როგორც აღვნიშნე, ეს არც ისე იოლი იქნება.

**კოტე მგალობლიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლო წლებში ლიტველთა ბატონობამ ზოგს შეიძლება დაავიწყა, რომ კარგა ხანს ბალტიისპირელთა კალათბურთის ლიდერები ლატვიელები იყვნენ, ამათ კალათბურთელების სახელები მთელს ევროპაში იყო ცნობილი. გუნარ სილინში, მაიგონის ვალდმანისი, ვალდის მუიჟნიეკსი, იანის კრუმიში, ალვის გულბისი, ედვინ იურგესონი. ვალდის ვალტერსი, გუნდარს ვეტრა და მრავალი სხვა. რიგის სკა ხომ ევროპის ჩემპიონთა თასის სამგზის მფლობელია, ლატვიის ნაკრების კი, სანამ ლატვია რუსეთის კლანჭებში მოხვდებოდა, ევროპის ჩემპიონიც იყო (აღარას ვამბობთ ქალთა კალათბურთზე და ლეგენდარული რიგის ტტტ-ზე). მაგრამ მას მერე, რაც ბალტიისპირელებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს, ლატვიელები, ლიტველთაგან განსხვავებით, გაქრნენ ჩვენი თვალთახედვის არიდან და მით უფრო საინტერესო იყო შეხვედრა შესანიშნავ ლატვიელ კალათბურთელ იგორს მიგლინიეკსთან. იგი ლიტვურ გუნდს, პლუნგეს „ოლიმპასს" ჩამოჰყვა თბილისის „დინამოსთან" სათამაშოდ.

მიგლინიეკსი სეულის ოლიმპიადის ჩემპიონია. რიგის ვეფ–ის შემდეგ კარგა ხანს თამაშობდა მოსკოვის ცსკა–ში და ამ განთქმული გუნდის გამთამაშებელი და ლიდერიც გახლდათ... რა იყო შემდეგ — ამით დავიწყეთ მასთან საუბარი.



# თბილისში უცხოურ საქონელს ყოველთვის კარგად ვყიდდი

— ცსკა-დან რიგის ვეფ-ში დავბრუნდი და 3 წელი ვითამაშე. შემდეგ მოვხვდი ამერიკაში. პროფესიულ ვბლ (WBL) ლიგაში. ის, რა თქმა უნდა, ნბა არ არის, მაგრამ მას შემდეგ უძლიერესი ლიგაა. ჩემს გუნდში თამაშობდნენ ჯონ სტარქსი და მარიო ელი, რომლებიც ახლა ნიუ-იორკელთა და ჰიუსტონელთა ლიდერები არიან. შემდეგ ორი წელი გერმანიის ბუნდესლიგის „ბრაუნშვაიგში" გამოვდიოდი და მერე ისევ რიგაში, „მეტროპოლში".

**— შარშან მოსკოვის ცსკა გიწვევდათ...**

— მოსკოვში ჩასულიც ვიყავი, მაგრამ კონტრაქტს ხელი აღარ მოვაწერე, რადგან რუსებს სურდათ, მოქალაქეობაც მიმეღო. მე კი ლატვიური პასპორტი მაქვს და ამას ვერ გავაკეთებდი.

**— და აი ახლა პლუნგეს „ოლიმპასი". კმაყოფილი ხართ, ამ გუნდში რომ თამაშობთ?**

— ლიტვაში საკმაოდ კარგი დონეა. „ოლიმპასმა" შარშან მე-3 ადგილი დაიკავა, მის შემადგენლობაში ერთი ამერიკელი და ერთი კანადელი გამოდიოდნენ. სხვათა შორის, ისინი ჩემმა აგენტმა მოძებნა, იმან, ვინც მეც დამაკავშირა ამ გუნდთან. „ოლიმპასი" ფინანსურად საკმაოდ ძლიერია, ასე რომ, პირობებს არ ვუჩივი. ამასთან, ამბიციურიც გახლავთ — წელს ლიტვის ჩემპიონატში უფრო მაღალი ადგილის დაკავებას აპირებს და ევროპაშიც უნდა გარკვეული ავტორიტეტის მოხვეჭა.

**— ლატვიის კალათბურთში რაღა ხდება?**

— ლატვიაში ყველაფერი არეულ-დარეულია. ყველა თავისას ჩემულობს. საკალათბურთო მეურნეობა მოშლილია. სიტყვით თითქოს ყველას უნდა ლატვიური კალათბურთის აღორძინება, მაგრამ საქმით საპირისპიროს აკეთებენ. რა უნდა თქვა, როცა საუკეთესო ლატვიელ კალათბურთელებს ნაკრებში გამოსვლის შესაძლებლობა არა აქვთ. კალათბურთის ფედერაციის თავმჯდომარეა ოზოლსი, რომელმაც საერთოდ არ იცის, რა არის კალათბურთი. თანაც სმა უყვარს ძალიან. მან და ვალტერსმა ჩაიგდეს სადავეები ხელთ და გამოაცხადეს, ლატვიის ნაკრებში არ ითამაშებენ ისინი, ვინც რუსულ გუნდებში თამაშობდნენ. წარმოიდგინეთ, რა ხალხი დარჩა ნაკრების მიღმა. გუნდარს ვეტრა, რომელიც ახლა ცსკადან თურქეთში წავიდა სათამაშოდ, მე, მელნიკი, რომელიც ყოველთვის ლატვიელობდა და დედაც ლატვიელი ჰყავს, ბონდარენკო... ჩვენ რომ არ მიგვიწვიეს ნაკრებში, მუიჟნიეკსმაც უარი თქვა. ეს ხუთეული რომ ერთად ვიყოთ, ხომ წარმოგიდგენიათ, რა ნაკრები ეყოლებოდა ლატვიას.

**— ნაკრები მართლაც კარგი გეყოლებოდათ, მაგრამ ესენი ყველანი ვეტერანები არიან. ახალ თაობაში არ არიან ნიჭიერი კალათბურთელები?**

— როგორ არა. მაგალითად, გამთამაშებელი შტელმახერსი მშვენიერი მოთამაშეა. სხვებიც არიან. მაგრამ ისინი მხოლოდ შინ, ლატვიაში თამაშობენ, ამით კი უკეთ დაოსტატების საშუალება ესპობათ. ნაკრებშიც ყოველგვარი კონკურენციის გარეშე მოხვდნენ და თავი დიდი მოთამაშეები ჰგონიათ. ყველამ კარგად იცის, რა ოფლი უნდა დაგეღვარა, საკავშირო ნაკრებში რომ მოხვედრილიყავი. ჩვენი საკალათბურთო ხელმძღვანელობის ხუშტურები რომ არა, ისინი ჩვენთან შეხვედრებში გამოიწრთობოდნენ, გაიგებდნენ, რა არის საკალათბურთო დისციპლინა, ტაქტიკა და გაცილებით მალე გაიზრდებოდნენ. თუ გვაჯობებდნენ, ეს მათი მაღალი კლასის დამადასტურებელი იქნებოდა. დღეს კი ჩვენი, უნაკრებოდ დარჩენილთა ხუთეული მათ ადვილად დაამარცხებს.

**— ესე იგი, ლატვიის ნაკრებში თამაშის შანსი აღარ გაქვთ?**

— პრაქტიკულად გამორიცხულია.

**— საქართველოში პირველად არ ხართ...**

— ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე გეტყვით: ძალიან მიყვარს საქართველო და ქართველები. აქ უამრავი მეგობარი მყავს. ზოგი მათგანი ახლა საბერძნეთში ცხოვრობს, ზოგიც მოსკოვში და თუ იქ მოვხვდი, აუცილებლად ვნახულობ ხოლმე. თბილისში თამაში ჩემთვის განსაკუთრებული სიამოვნება იყო. გაჭედილი სპორტის სასახლე და კალათბურთის ნამდვილი დღესასწაული. ქართული სუფრაც ძალიან მიყვარს, ქართული ღვინო და სადღეგრძელოები. კიდევ ის მახსოვს, რომ აქ ყოველთვის მდიდარი ხალხი იყო და ჩვენ რომ უცხოეთიდან საქონელი ჩამოგვქონდა, აქ კარგად იყიდებოდა.

**— ეს ადრე სამარცხვინო იყო, ახლა კი ყველა ასე აკეთებს.**

— არ მესმის, რა იყო ამაში სამარცხვინო. იმ საზიზღარ, ტოტალიტარულ სახელმწიფოში ადამიანებს უცხოეთში არ უშვებდნენ. ჩვენ კი ამის შესაძლებლობა გვქონდა. ამიტომ ჩვენ ჩამოგვქონდა და ისინიც ყიდულობდნენ. არ ჰქონდა ხალხს უფლება, შეეძინა რაც სურდა?

**— საკმაო ხანს იყავით დიდ კალათბურთში. რას იგონებთ ტკბილად?**

— ბევრ რამეს. რა თქმა უნდა, სეულის ოლიმპიადის ნახევარფინალში ამერიკელებთან გამარჯვებას და ფინალში იუგოსლავიასთან მოგება ძალზე ტკბილად მომაგონდება. დაუვიწყარი იყო ბარსელონის ოლიმპიადის ნახევარფინალი ხორვატებთან, რომელიც წავაგეთ. სუპერსერიები ცსკას შემადგენლობაში კაუნასის „ჟალგირისის" წინაალმდეგ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად. რიგის ვეფ-ში თამაში რიგელ გულშემატკივართა წინაშე, სადაც არაერთი დაძაბული შეხვედრა მოგვიგია და კვლავ ადამიანური ურთიერთობები... როდესაც საკალათბურთო ტურები იყო, რამდენიმე გუნდი ერთი ქალაქიდან მეორეში გადავდიოდით და ძალზე ახლოს, მეგობრულად ვიყავით ერთმანეთთან. თითქმის მთელი წელი ერთად ვიყავით ფორმულა 1-ის და ჩოგბურთის მსგავსად. მაშინ ბევრი მეგობარიც შევიძინე.

**— თქვენი ძმა სად არის, სად თამაშობს?**

— ამერიკაშია, სტუდენტურ ლიგაში თამაშობს, თანაც საკმაოდ წარმატებით... შარშან საუკეთესო იყო შედეგიან გადაცემებში.

**— ოჯახი გყავთ?**

— ორი წელია, ცოლს გავცილდი, გოგონა მყავს ოთხწლინახევრის. მაგრამ ახლა ძალიან მიყვარს ერთი ქალი, ერთად ვართ და მალე ალბათ ვიქორწინებთ.

**— კალათბურთში ბევრი ტიტული მოიპოვეთ და ბევრი ნახეთ. აუსრულებელ ოცნებად რა დაგრჩათ?**

— მაინც ვფიქრობ, რომ ბოლომდე უნდა მეცადა ნბა-ში მოხვედრა. არ გამოვიყენე ჩემი შანსი. როცა ვბლ-ში ვთამაშობდი, „ოლ სტარში" მოვხვდი, ამიტომ ჩემით ნბა-ც დაინტერესდა, განსაკუთრებით „ატლანტა ჰოქსი" და „ლოს-ანჯელეს კლიპერზი", „ფინიქს სანზიც". ბოლოს ისე მიდგა საქმე, „ფინიქსს" სამიდან ერთ-ერთი უნდა ამოვერჩიეთ. მე კონკურენტს აშკარად ვჯობდი და ორნი დავრჩით, მაგრამ მეტოქე მამჯობინეს, რადგან იგი დრაფტში იყო. თუმცა ალბათ, არც შეცდნენ — ახლა ის „ფინიქსში" შესანიშნავად თამაშობს.

**— თქვენ ვერ ითამაშებდით?**

— ასაკი, ასაკი... ვერ ვიტყვი, რომ აუცილებლად რაიმეს მივაღწევდი, მაგრამ უნდა მეცადა. ჩემი აზრით, 10-15 წუთის თამაშს შევძლებდი. აი, ახლა 23 წლის რომ ვიყო...

**— გეგმები?**

— ოცდათორმეტი წლის ვარ. ჩემი აზრით, ორ-სამ წელიწადს კიდევ შემიძლია მაღალ დონეზე თამაში და მინდა ეს დონე ევროპული იყოს. ამიტომაც მივიღე პლუნგელთა მიწვევა. ეს გუნდი მუდმივად ითამაშებს ევროტურნირებში და მინდა აქედან რომელიმე ევროპულ კლუბში მოვხვდე. მართალია, ჯანი ისე აღარ მომდევს, როგორც ადრე, მაგრამ ჩემი გამოცდილებით ნორმალურ ევროპულ კლუბში, ალბათ, არ დავიკარგები. თუმცა ცხოვრებაში და კალათბურთშიც ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც გინდა...

**ილია მხეიძე**

# პირველი უცხოელები საქართველოში

ევროპის თასი. ჯგუფური ეტაპი. H ჯგუფი

**ვითა (თბილისი, საქართველო) — კიორმენდი (უნგრეთი)**

თბილისი. სპორტის სასახლე. 17 სექტემბერი. 20 საათი

ესეც ქართული გუნდის დებიუტი ევროპის თასზე, რომელსაც ადრე თასების მფლობელთა თასი ერქვა. ფიბას მიერ გატარებული რეფორმის წყალობით, ამიერიდან ეს ტურნირი ჯგუფური ასპარეზობით დაიწყება. 48 გუნდი რვა ჯგუფადაა გაყოფილი. შინ და სტუმრად ჩატარებული ათი მატჩის შემდეგ თითო ჯგუფიდან მერვედფინალში 4-4 საუკეთესო გადის. „ვითას" წილისყრამ მეტოქეებად შემდეგი გუნდები არგუნა: რიელო (ვერონა, იტალია), ლონდონ თაუერზი (ინგლისი), პტტ (ანკარა, თურქეთი), ბუდუჩნოსტი (ბელგრადი, იუგოსლავია), კიორმენდი (უნგრეთი). ჯგუფური ტურნირი 17 სექტემბერს იწყება და 10 დეკემბრამდე გრძელდება. ყველა მატჩი გაიმართება სამშაბათობით.

„ვითა" პირველ შეხვედრას უნგრეთის „კიორმენდთან" გამართავს. ადრეც აღვნიშნეთ, რაც ევროთასების მატჩები თბილისში იმართება, საქართველოს გუნდებს მეტოქეებად მხოლოდ ყოფილი საბჭოთა კავშირის კლუბები ჰყავდათ. ამდენად, „კიორმენდი", მართალია, ყოფილი სოცბანაკის, მაგრამ მაინც პირველი „ნაღდი" უცხოური კლუბია, რომელიც გვესტუმრება.

„კიორმენდი" ამავე სახელწოდების ქალაქის გუნდია. ეს ქალაქი დასავლეთ უნგრეთში, ბუდაპეშტიდან სამასი კილომეტრის დაშორებით მდებარეობს მდინარე რაბას ნაპირებზე. კიორმენდიდან სულ 20 კილომეტრია ავსტრიის საზღვრამდე. მოსახლეობა ცოტაა, დაახლოებით 50 ათასი. ქალაქის სატელეფონო კოდი საერთაშორისო ცნობარში შეტანილი არ არის. როცა „ვითას" ხელმძღვანელებს იქაურებთან ტელეფონით დაკავშირება დასჭირდათ, მთელს ევროპაში შეაწრიალეს ნაცნობ-მეგობრები და კიორმენდის კოდი ძლივს შეიტყვეს.

**კიორმენდი (უნგრეთი)**

უნგრეთის ჩემპიონი: 1987, 1996

უნგრეთის თასის მფლობელი: 1990, 1993, 1994, 1996

ევროთასებზე მონაწილეობა

ჩემპიონთა თასი: 1987

თასების თასი: 1990, 1993, 1994, 1995

სათამაშო ფორმა: CHAMPION

სპორტული ფეხსაცმელი: CONVERSE

კლუბს მდიდარი წარსული არ გააჩნია. უნგრული კალათბურთის ელიტაში იგი 1987 წლიდანაა, მაგრამ მას შემდეგ შინაურ სარბიელზე მუდამ სტაბილურად და წარმატებით გამოდის. საერთაშორისო გამოცდილება „ვითაზე" გაცილებით მეტი აქვს, რადგან სხვადასხვა ევროთასზე მეექვსედ ასპარეზობს, თუმცა, რაიმე მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი წარმატებისთვის არ მიუღწევია. „კიორმენდში" უნგრეთის ნაკრების 4 წევრი თამაშობს: კაპიტანი ფერენც ძებე (120 მატჩი), ლასლო ციგლერი (64), იოჟეფ საიერი (51), იშტვან ერშეკი (10).

უნგრელებს ორი ლეგიონერი ჰყავთ, ორივე ამერიკელი. ცენტრი ჩარლზ ედმონდსონი შარშანაც ამ გუნდში იყო, ხოლო უკანახაზელი დელმონტ მედისონი წელს მოვიდა. ამ მოთამაშემ წლეულს დაამთავრა კოლორადოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომლის გუნდშიც აქამდე თამაშობდა და ევროპისკენ გამოეშურა. მან დაიკავა ბოსნიელი ხამირ მუიანოვიჩის ადგილი, რომელმაც „კიორმენდთან" კონტრაქტი არ გააგრძელა.

უნგრელი კალათბურთელები ორშაბათს ფრანკფურტიდან ჩამოფრინდებიან თბილისში 22 საათსა და 30 წუთზე.

## კიორმენდი (უნგრეთი)

| მოთამაშე | ამპლუა | დაიბადა | სიმაღლე | შარშანდელი სეზონი |
|---|---|---|---|---|
| იშტვან ერშეკი | უკანა ხაზი | 09.04.68 | 202 | კიორმენდი |
| ფერენც ძებე (კ) | უკანა ხაზი | 15.07.65 | 201 | კიორმენდი |
| რუდოლფ ტრუმერი | უკანა ხაზი | 07.06.78 | 197 | კიორმენდი |
| დიერდელ ფოდორი | უკანა ხაზი | 25.08.77 | 193 | კიორმენდი |
| სილარდ მოდიოროში | უკანა ხაზი | 15.05.75 | 184 | კიორმენდი |
| იოჟეფ საიერი | ფორვარდი | 25.02.69 | 187 | კიორმენდი |
| ჟოლტ გრაცერი | ფორვარდი | 18.07.78 | 188 | კიორმენდი |
| დელმონტ მედისონი | ფორვარდი | 30.01.73 | 195 | კოლორადო სტეიტი |
| იშტვან ნემეტი | ფორვარდი | 16.11.79 | 186 | კიორმენდი |
| ზოლტან კოლონიჩი | ცენტრი | 15.07.73 | 206 | უნივერსიტეტი |
| ლასლო ციგლერი | ცენტრი | 21.09.71 | 217 | კიორმენდი |
| ჩარლზ ედმონდსონი | ცენტრი | 30.01.69 | 205 | კიორმენდი |
| ერვინ ჩაპიარ-ნადი | ცენტრი | 11.07.79 | 210 | კიორმენდი |

მთავარი მწვრთნელი: იმრე პატონაი. მწვრთნელები: იანოშ სალაი, ანდრაშ პეტერი

## ვითა (თბილისი, საქართველო)

| მოთამაშე | ამპლუა | დაიბადა | სიმაღლე | შარშანდელი სეზონი |
|---|---|---|---|---|
| დავით უსტიაშვილი | უკანა ხაზი | 09.01.71 | 188 | ფილიპოსი |
| დავით თორთლაძე | უკანა ხაზი | 11.02.70 | 184 | კაქტუსი |
| დუდუ დადიანი (კ) | უკანა ხაზი | 19.05.69 | 191 | ვითა |
| რეზო ჩხეიძე | უკანა ხაზი | 06.03.73 | 199 | კაქტუსი |
| გია სანაძე | ფორვარდი | 24.10.64 | 195 | ვითა |
| ნუგზარ კოკოლიშვილი | ფორვარდი | 10.03.71 | 197 | ვითა |
| ლევან ქარაბაკი | ფორვარდი | 28.02.77 | 203 | ვითა |
| ვახტანგ ნაცვლიშვილი | ფორვარდი | 28.01.76 | 204 | მაუნტ-აიდა |
| ამროსი ორმოცაძე | ფორვარდი | 01.05.70 | 198 | ვითა |
| კახა შენგელია | ცენტრი | 23.09.72 | 208 | ვითა |
| მიხეილ ბერუაშვილი | ცენტრი | 21.05.70 | 205 | რუსთავი |

მთავარი მწვრთნელი: ბესიკ ლიპარტელიანი. მწვრთნელი: ვაჟა მხეიძე

## კორაჩის თასი. ნინასწარი წრე. პირველი მატჩები. 11 სექტემბერი

დინამო (საქართველო) — ოლიმპასი (ლიტვა) 73:80
მელენსდორფი (ავსტრია) — სატექსი (სლოვენია) 76:94
კასტორსი (ბელგია) — ნიუ ვეივი (ფინეთი) 98:90
შტალბაუ (ავსტრია) — ბეობანკა (იუგოსლავია) 69:94
კონტერნი (ლუქსემბურგი) — პეპინსტერი (ბელგია) 63:114
ზორკა ფარმა (იუგოსლავია) — პარტიზანი (ალბანეთი) 135:61
ჩერნო მორე (ბულგარეთი) — ომონია (კვიპროსი) 85:58
ოსტრავა (ჩეხეთი) — ინტერიერი (სლოვენია) 64:81
ალბაკომპი (უნგრეთი) — იდრია (სლოვენია) 89:70
გუდიარი (ბელგია) — ბანიკი (სლოვაკეთი) 81:84
სპარტაკი (იუგოსლავია) — სვიტი (სლოვაკეთი) 74:65
ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — კომპაქტი (ბულგარეთი) 83:69
ჰიფენეპი (ლუქსემბურგი) — ოვარენზე (პორტუგალია) 78:88
როგასკა დონატი (სლოვენია) — კერავნოსი (კვიპროსი) 72:73
ჰუტპალენი (ბელგია) — ნოვი ჟიზნი (ჩეხეთი) 110:85
კელუში (პორტუგალია) — რენე კოლტოფი (ჰოლანდია) 78:73
მეტროპოლი (ლატვია) — კიევ-ბასკეტი (უკრაინა) 82:75
ელანა (პოლონეთი) — სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი) 82:81
ნიკოლ ფერტი (მაკედონია) — დებრეცენი (უნგრეთი) 74:43
შიაულიაი (ლიტვა) — ლაჰტი (ფინეთი) 70:61
მაზოვშანკა (პოლონეთი) — ჰონვედი (უნგრეთი) 88:74
ერბაშუ (რუმინეთი) — ბიპა-მოდა (უკრაინა) 58:80
ლუგანი (უკრაინა) — კალევი (ესტონეთი) 86:86
პლანია ბასკეტი (შვედეთი) — ეშტრელა (პორტუგალია) 89:44
ზალაეგერსეგი (უნგრეთი) — ვარდარი (მაკედონია) 98:75
სპარტა (ჩეხეთი) — პოლონია (პოლონეთი) 72:64
აფლენცი (ავსტრია) — სპოინია (პოლონეთი) 89:85
ფერო (უკრაინა) — ასტრა (შვედეთი) 71:72
ვერსო (შვეიცარია) — ეშგეირა (პორტუგალია) 76:90

საპასუხო მატჩები — 18 სექტემბერს.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია
## "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. მეექვსე ტური

14 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| დორტმუნდი — შტუტგარტი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| კარლსრუე — დუისბურგი | 1,1 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |
| შალკე — ბაიერნი | 4,0 | 3,2 | 1,45 |
| არმინია — ლევერკუზენი | 2,3 | 2,5 | 2,3 |
| მიუნხენ 1860 — ფრაიბურგი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| კიოლნი — მიონხენგლადბახი | 1,5 | 3,0 | 4,0 |

15 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰამბურგი — ზანქტ პაული | 1,3 | 3,1 | 6,0 |

### გერმანიის ჩემპიონატი. მეორე ბუნდესლიგა. მეექვსე ტური

14 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ურდინგენი — ლიუბეკი | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| შტუტგარტერ კიკერსი — მანჰაიმი | 1,8 | 2,8 | 3,0 |
| ლაიფციგი — გუტერშლოჰი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| ჰერტა — როტ ვაისი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |

15 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| კარლ ცაისი — ცვიკაუ | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| ვოლფსბურგი — კაიზერსლაუტერნი | 3,0 | 2,8 | 1,8 |
| უნტერჰახინგი — აინტრახტი | 3,0 | 2,8 | 1,8 |
| მეპენი — ფორტუნა (კიოლნი) | 1,45 | 3,0 | 4,4 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. მეექვსე ტური

14 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ქოვენთრი — ლიდსი | 2,5 | 2,5 | 2,2 |
| დერბი ქაუნთი — სანდერლენდი | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| ევერტონი — მიდლსბრო | 1,9 | 2,8 | 2,8 |
| მანჩესტერ იუნაიტედი — ნოტინგემი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| ნიუკასლი — ბლექბერნი | 1,2 | 3,4 | 7,0 |
| საუთჰემპტონი — ტოტენჰემი | 1,9 | 2,8 | 2,8 |
| ვესტ ჰემი — უიმბლდონი | 1,45 | 3,2 | 4,0 |

15 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩელსი — ასტონ ვილა | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| ლესტერი — ლივერპული | 3,3 | 2,8 | 1,7 |

16 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| არსენალი — შეფილდ უენსდეი | 1,2 | 3,4 | 7,0 |
| 0:1 | 2,1 | 3,4 | 1,9 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. მეშვიდე ტური

14-15 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარნსლი — ქუინზ პარკი | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| კრისტალ პალასი — მანჩესტერ სიტი | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| ბირმინგემი — სტოკ სიტი | 1,8 | 2,9 | 2,9 |
| ოქსფორდი — ბრედფორდი | 1,6 | 2,8 | 3,8 |
| ვესტ ბრომვიჩი — ვულვერჰემპტონი | 1,8 | 2,9 | 2,9 |
| ბოლტონი — პორტსმუთი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| ჩარლტონი — რედინგი | 1,8 | 2,9 | 2,9 |
| ჰადერსფილდი — ოლდემი | 1,25 | 3,2 | 7,0 |
| ნორვიჩი — საუთენდი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| პორტ ვეილი — გრიმსბი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| შეფილდ იუნაიტედი — იფსვიჩი | 1,6 | 2,7 | 4,0 |
| სვინდონი — ტრანმერი | 1,4 | 3,1 | 4,7 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. მეხუთე ტური

14 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| აბერდინი — კილმარნოკი | 1,15 | 3,8 | 8,0 |
| დანდი იუნაიტედი — სელტიკი | 5,0 | 3,2 | 1,35 |
| რეინჯერსი — ჰარტსი | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 3,4 |
| დანფერმლაინი — მოზერველი | 1,8 | 2,8 | 3,0 |
| ჰიბერნიანი — რეით როვერსი | 1,15 | 3,8 | 8,0 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. მეშვიდე ტური

14 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| მონაკო — ლიონი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| მონპელიე — ლე ავრი | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| ნანტი — მეცი | 1,8 | 2,9 | 2,9 |
| სტრასბური — ბასტია | 1,6 | 2,9 | 3,6 |
| გინგამი — ლანსი | 1,9 | 2,8 | 2,8 |
| კანი — პარი სენ-ჟერმენი | 2,7 | 2,7 | 2,0 |
| ბორდო — ლილი | 1,25 | 3,3 | 6,0 |
| კაენი — რენი | 1,8 | 2,9 | 2,9 |
| მარსელი — ნიცა | 1,1 | 4,2 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |
| ნანსი — ოსერი | 3,4 | 3,0 | 1,6 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. მეორე ტური

15 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატალანტა — ფიორენტინა | 2,0 | 2,6 | 2,8 |
| ინტერი — პერუჯა | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |
| იუვენტუსი — კალიარი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |
| ლაციო — უდინეზე | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| ნაპოლი — რეჯანა | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| პიაჩენცა — პარმა | 4,4 | 3,4 | 1,35 |
| სამპდორია — მილანი | 3,2 | 2,9 | 1,7 |
| ვერონა — ბოლონია | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| ვიჩენცა — რომა | 1,9 | 2,6 | 3,0 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. მეორე ტური

14 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| კრემონეზე — ჯენოა | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| ვენეცია — ტორინო | 2,7 | 2,7 | 2,0 |

15 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრეშია — პალერმო | 1,6 | 3,0 | 3,4 |
| ჩეზენა — რეჯინა | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| კოზენცა — ბარი | 3,4 | 3,0 | 1,6 |
| ემპოლი — სალერნიტანა | 2,0 | 2,7 | 2,7 |
| ფოჯა — დი სანგრო | 1,25 | 3,2 | 7,0 |
| ლეჩე — პადოვა | 1,9 | 2,8 | 2,8 |
| ლუკეზე — კიევო | 1,45 | 3,0 | 4,4 |
| პესკარა — რავენა | 1,3 | 3,0 | 6,5 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. მესამე ტური

15 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| კომპოსტელა — ლოგრონიესი | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| ტენერიფე — სევილია | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| სარაგოსა — ვალენსია | 1,8 | 2,6 | 3,4 |
| სოსიედადი — სპორტინგი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| რასინგი — ბარსელონა | 2,6 | 2,6 | 2,1 |
| ესპანიოლი — ვალიადოლიდი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| ოვიედო — ბილბაო | 1,7 | 2,7 | 3,4 |
| რაიო ვალეკანო — ესტრემადურა | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| ბეტისი — რეალი | 2,0 | 2,6 | 2,8 |
| ერკულესი — სელტა | 1,8 | 2,7 | 3,1 |
| ატლეტიკო — დეპორტივო | 1,4 | 3,0 | 5,0 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. მესამე ტური

15 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრაგა — ჟილ ვისენტე | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| ბენფიკა — სეტუბალი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| გიმარაეში — ლეირია | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| პორტუ — შავეში | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 3,4 |
| ლეცა — სალგეიროში | 1,7 | 2,7 | 3,4 |
| მარიტიმუ — ამადორა | 1,25 | 3,2 | 7,0 |
| რიო ავე — სპორტინგი | 5,6 | 3,2 | 1,3 |
| ფარენსე — ბოავიშტა | 2,0 | 2,7 | 2,7 |
| ბელენენსეში — ესპინიუ | 1,35 | 3,1 | 5,3 |

### რუსეთის ჩემპიონატი. 27-ე ტური

14 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩერნომორეცი — ჟემჩუჟინა | 1,6 | 3,0 | 3,4 |
| ლოკომოტივი (მოსკოვი) — ზენიტი | 1,25 | 3,2 | 7,0 |
| როტორი — როსტსელმაში | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| ლადა — დინამო | 4,2 | 3,3 | 1,4 |
| ტექსტილშჩიკი — კამაზი | 1,7 | 3,0 | 3,1 |
| ლოკომოტივი (ნოვგოროდი) — სპარტაკი | 4,7 | 3,3 | 1,35 |
| კრილია სოვეტოვი — ურალმაში | 1,2 | 3,6 | 6,5 |

15 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბალტიკა — ალანია | 3,4 | 3,0 | 1,6 |
| ცსკა — ტორპედო | 1,7 | 2,9 | 3,2 |

### სხვადასხვა

14 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე — ბეშიქთაში | 2,0 | 2,7 | 2,7 |
| სერკლ ბრიუგე — ლოკერენი | 1,6 | 3,0 | 3,4 |
| გრასჰოპერი — სიონი | 1,25 | 3,2 | 7,0 |
| სერვეტი — ქსამაქსი | 2,3 | 2,5 | 2,3 |
| ბაზელი — არაუ | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| აუსტრია — ზალცბურგი | 1,45 | 3,0 | 4,4 |
| შტურმი — ტიროლი | 1,6 | 3,0 | 3,4 |
| რაპიდი — ადმირა ვაკერი | 1,2 | 3,3 | 8,0 |

15 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ისტანბულსფორი — ბურსასფორი | 1,8 | 2,8 | 3,0 |
| ტვენტე — ფეიენოორდი | 2,6 | 2,6 | 2,1 |
| აიაქსი — სპარტა | 1,15 | 3,8 | 8,0 |
| სტანდარდი — ეკერენი | 1,2 | 3,4 | 7,0 |
| მოლენბეკი — ბრიუგე | 2,1 | 2,6 | 2,6 |

ტურში გატანილი გოლების რაოდენობა (უმაღლესი ჯგუფები)
ინგლისი. 24 და ნაკლები — 1,9; 26 და მეტი — 1,9
იტალია. 22 და ნაკლები — 1,9; 24 და მეტი — 1,9
ესპანეთი. 28 და ნაკლები — 1,9; 30 და მეტი — 1,9

## CROCO-2

| ტირაჟი №65 | ტირაჟი №66 |
|---|---|
| 1. არმინია — ლევერკუზენი | 1. ჩელსი — ასტონ ვილა |
| 2. კიოლნი — გლადბახი | 2. ლესტერი — ლივერპული |
| 3. ქოვენთრი — ლიდსი | 3. ატალანტა — ფიორენტინა |
| 4. დერბი — სანდერლენდი | 4. სამპდორია — მილანი |
| 5. ევერტონი — მიდლსბრო | 5. ვერონა — ბოლონია |
| 6. საუთჰემპტ. — ტოტენჰემი | 6. ვიჩენცა — რომა |
| 7. ვესტ ჰემი — უიმბლდონი | 7. სარაგოსა — ვალენსია |
| 8. ბეტისი — რეალი | 8. რასინგი — ბარსელონა |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პროფესიონალი



იგი არ იყო ეფექტების მოყვარული კაცი: გაურბოდა ტრიბუნას, ხალხმრავალ აუდიტორიას, ვერ იტანდა პათეტიკას, მალაღფარდოვნებას.

არასოდეს ყოფილა კონფორმისტი, მაგრამ არც მეამბოხის რეპუტაცია ჰქონია. სხვანაირად იგი ვერ შესძლებდა თავისი ნიჭის სრულფასოვან გამოყენებას.

ჩემი აზრით, მასში მაინც მუდმივად ცხოვრობდა შეფარული დისიდენტი. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ახლა მოდაშია დისიდენტური წარსულის გახსენება. 1954 წელს მან, 33 წლის რედაქტორმა, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" რამდენიმე ნომერი დაუთმო ესთეტიკის, ეთიკის და ლიტერატურის საკითხებზე თავისი თაობის საუკეთესო წარმომადგენლების — ზურაბ კაკაბაძის, გელა ბენდელაძის, ვენორი ქვაჩახიას დისკუსიას. ეს არ ყოფილა უწყინარი დისპუტი. ეს იყო მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის პოსტულატების კრიტიკა და ამკარა რევიზია. რას ნიშნავდა იმხანად ახალგაზრდა რედაქტორისა და მისი ნიჭიერი, გაბედული ავტორების ამგვარი აქცია, ვფიქრობ, ამას განმარტება არ სჭირდება. რა თქმა უნდა, მიხეილ კაკაბაძე შერისხეს. მაგრამ ცეკას ბიუროს სხდომის შემდეგ ახალ მოხსნილი, უკვე ყოფილი რედაქტორი ქუჩაში მეგობრებს გადაყრია, ტრადიციულ შეკითხვაზე, როგორაა საქმე, კარგადო, უპასუხია, შემდეგ ერთად წასულან საქეიფოდ და მხოლოდ პურობისას შეუტყვიათ მისი მოხსნის ამბავი. ეს არ ყოფილა პოზა; მიხეილ კაკაბაძე ფილოსოფიურად აღიქვამდა ცხოვრებას. ქიმიის პროფესორის ოჯახში დაბადებული, თავადაც სულით ხორცამდე ინტელიგენტი, პოლიტიკურ მასკარადს მუდამ ირონიულად უყურებდა.

„ახალგაზრდა კომუნისტში" მისვლამდე იგი ხუთი წლის მანძილზე იყო გაზეთების „ლელოს" (1949-51) და „მოლოდიოჟ გრუზიის" (1951-54) რედაქტორი. იქიდან მოყოლებული იგი ითვლებოდა უნიჭიერეს რედაქტორად და შესანიშნავ ჟურნალისტად.

ჩემთვის იგი რედაქტორის თავისებური ეტალონი იყო. მას ჰქონდა ის, რასაც რედაქტორის გუმანსა და ალღოს უწოდებენ. თუ ჭადრაკის ტერმინს გამოვიყენებთ, იგი თავისი მოღვაწეობის სფეროში მუდამ „ერთი ტემპით" უსწრებდა დროს. სწორედ ამ თვისებების გამო ჩანდა მუდამ თანამედროვედ ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. ეს მის გარეგნობასა და ჩაცმულობაშიც იგრძნობოდა: ჯინსი ეცვა სამსახურში და ოფიციალურ მიღებაზეც კი. ეს იყო არა გამოწვევა ან ახირება, არამედ სრულიად ბუნებრივი ჩვევა. მას ჰქონდა მამაკაცური მომხიბლელობა და მუდამ მოსწონდათ ქალებს.

ბევრგან მოუწია მუშაობამ, მაგრამ მისი კარიერის საუკეთესო პერიოდი მაინც „ლელოში" გატარებული წლები იყო. ათი წელი მისი თანამშრომელი ვიყავი და თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი. მისი რედაქტორობის პერიოდში „ლელო" არაჩვეულებრივად პოპულარული იყო და დიდი მოთხოვნილების გამო ჯიხურებში დახლქვეშიდან ყიდდნენ.

მას ყველაფერს ერჩივნა თავისი გაზეთი და მისი რეპუტაცია. მთელი დღის განმავლობაში სამუშაოზე ყოფნის შემდეგ შინ დასასვენებლად მცირე ხნით მიდიოდა, საღამოს კი ისევ ბრუნდებოდა სამსახურში, რათა გემის კაპიტნის მსგავსად პოსტზე ყოფილიყო, გაზეთი ბოლო წუთებში მიღებული ინფორმაციით გაემდიდრებინა და მის „დაბადებას" დასწრებოდა. მაკეტის აღიარებული მცოდნე არანაკლებ დახელოვნებული სტილისტი იყო. გაზეთში გაპარული კორექტურა მისთვის ნამდვილი დრამა გახლდათ. გერმანელივით პუნქტუალური და აკურატული იყო და ამაშიც ვლინდებოდა მისი დახვეწილი პიროვნული კულტურა.

მიხეილ კაკაბაძეს ფართო განათლება საშუალებას აძლევდა, განსხვავებულ ჰუმანიტარულ სფეროებში ემოღვაწევა. ჩინებულად იცოდა რუსული და ევროპული ლიტერატურა. იგი ინტენსიური სულიერი ცხოვრებით ცხოვრობდა. ეს იყო, ალბათ, მიხეილ კაკაბაძის პიროვნების ყველაზე დიდი სტიმულატორი.

იგი ჩემს წარმოდგენაში განასახიერებდა, აგრეთვე, სხვადასხვა თაობის დამაკავშირებელ ადამიანს, რომელსაც საკუთარი ძალის რწმენა, სიმშვიდე და წესრიგი შემოჰქონდა ჩვენს საქმიანობასა და ცხოვრებაში.

მოგვიანებით, უკვე მისი გარდაცვალების შემდეგ, მე მივხვდი, რომ იგი დაჯილდოვებული იყო კიდევ ერთი უიშვიათესი თვისებით — მასთან ერთად გატარებული წლები მისი ყველა თაობის მეგობრისთვის რომანტიკულ მოგონებად დარჩენილიყო.

**არჩილ გოგელია**

# მიხეილ კაკაბაძეს არავის წინაშე ქედი არ მოუხრია



ვინ არის ყველა დროის უძლიერესი ქართველი ფეხბურთელი?

როდის დაწყებული კამათი დღემდე გრძელდება და ვერაფრით მორიგებულან. ვერც მორიგდებიან. ყველას თავისი რჩეული ჰყავს და, აბა, გადაარწმუნე. ამ საქმისგან არაფერი გამოვა.

ვინ გაავლო ყველაზე ღრმა ხნული ქართულ სპორტულ ჟურნალისტიკაში?

აქ საკამათო არაფერია: რა თქმა უნდა, მიხეილ კაკაბაძემ. თუ საქმე მაინცდამაინც ერთი პიროვნების გამორჩევაზე მიდგა, ბატონი მიშა კონკურსგარეშეა. ყოველ შემთხვევაში, სპორტულ ჟურნალისტთა წრეში ეს ამბავი კარგი ხნის გარკვეული და ბეჭედდასმულია.

არა მხოლოდ და არა იმდენად იმიტომ, რომ მიხეილ კაკაბაძე ჩინებული ჟურნალისტი იყო.

არა მარტო იმიტომ, რომ მიხეილ კაკაბაძე ბრწყინვალე რედაქტორი იყო.

არა მხოლოდ იმიტომ, რომ მიხეილ კაკაბაძემ დააარსა „ლელო" და სახალხო გაზეთად აქცია.

უწინარესად იმიტომ, რომ მიხეილ კაკაბაძე პიროვნება იყო — ღირსებით, სიკეთით და სიყვარულით სავსე.

ასეთად წარმომედგინა, ვიდრე გავიცნობდი.

ასეთად შევიცანი, როცა „ლელოში" მისი რედაქტორობით შტატგარეშედ ვიმუშავე.

ასეთად მოიხსენიებენ, როცა უკვე ჩვენს შორის აღარ არის.

აბა, ახლა შტატიანებს და სტაჟიანებს ჰკითხეთ!

მოსაყოლსა და გასახსენებელს რა გამოულევთ.

შტატიანებსა და სტაჟიანებში მხოლოდ ჟურნალისტები არ მიგულისხმია.

აწ უკვე „სამშობლოდ" წოდებულ გამომცემლობის სააქროებში, თუმცა კი კანტიკუნტად, მაგრამ ახლაც ღაღიან მიშას დროინდელი დამკაბადონებლები თუ ლინოტიპისტები.

მიშა კაკაბაძე უხსენეთ და დანარჩენს ნურაფერს ეტყვით.

დაიწყებენ და არ დაამთავრებენ:

— ვინა, კაცო, მიშა? ეე, ბიძიკო, ეგ იყო თუ იყო...

— მაგნაირი ამ შენობაში არ შემოსულა...

— გაზეთი ვიციო, მაგას უნდა ეთქვა...

— წერტილი რაა, იმას ჩაეძიებოდა...

— პატარასთან პატარა იყო, დიდთან დიდი...

— სადღა არიან ეგეთი კაცები და რედაქტორები...

ხომ ვამბობდი, დაიწყებენ და არ დაამთავრებენ-მეთქი. განა მარტო ამწყობები და დამკაბადონებლები, დანარჩენებიც, რასაკვირველია. ყველანი, ვისაც მიშასთან და გაზეთთან რაიმე საქმე ჰქონდა.

საქმის და სიტყვის კაცი იყო და იმიტომ.

გაზეთის კეთება უყვარდა გულით და გონებით. უყვარდა სპორტი და მკითხველი.

მკითხველთან მუდამ პირნათელი იყო.

თაყვანისმცემელი არ მოჰკლებია, მაგრამ პატივისცემა დავაკელით.

აი, სწორედ ახლა ვიტყვი მთავარს და ამით დავამთავრებ: მიხეილ კაკაბაძეს არავის წინაშე ქედი არ მოუხრია.

ღირსეულად იღვაწა და ღირსეულად წავიდა!

**ელგუჯა ბერიშვილი**

# ძია მიშა



ვაკის სასაფლაოზე მიწას აბარებდნენ ჟურნალისტს. აქ იყვნენ მისი ახლობლები, კოლეგები, ნაცნობები და უცნობებიც.

უცნობებიც!..

ზღვა ხალხს ბურთი გასჩროდა ყელში...

...ახლა „ლელოს" რედაქციაში მიხეილ კაკაბაძესთან ერთად გადაღებულ ფოტოსურათს დავყურებ და ამ სტრიქონებს ვწერ. მახსენდება ჩვენი ურთიერთობის, თანამშრომლობის ბედნიერი დღეები...

იმ დღეს კი დამწუხრებული ჟურნალისტები გამარჯობის ნაცვლად ერთმანეთს გაბზარული ხმით ეკითხებოდნენ: „გაიგე?.. მიხეილ კაკაბაძე გარდაიცვალა", „მიშა, აღარ არის", „კუწა აღარ არის?"...

ერთნი ამ ადამიანს „ბატონ მიხეილს" ეძახდნენ, მეორენი — მასთან დაახლოებულნი — „კუწას".

ჩემთვის მიხეილ კაკაბაძე „ძია მიშა" იყო. ძია მიშა იყო ჩემი ბავშვობისას და ასეთადვე დარჩა ჩვენი ნაცნობობის 17 წლის მანძილზე. უბრალოდ, არ შემეძლო მისთვის სხვაგვარად მიმემართა. „ლელოში" პირველად რომ მივედი, მეცხრეკლასელი მოსწავლე ვიყავი. მაშინ ძია მიშამ სკოლის ფორმაში გამოწყობილს ამხედ-დამხედა. ჩემს მიერ გადაღებული ფოტოსურათები გულდასმით დაათვალიერა, ვინაობა დაწვრილებით გამომკითხა და მერე „ლელოს" მაშინდელ პასუხისმგებელ მდივანთან არჩილ გოგოლაშვილთან და რედაქციის მხატვართან, აწ განსვენებულ გოგი იაშვილთან მიმიყვანა.

— ამ ბიჭს მიხედეთ. კარგი ბიჭი ჩანს, — უთხრა მათ. მერე ის ჩემი ნამუშევრებიც დაიბეჭდა. წლები რომ გავიდა, მივხვდი, რომ ის ფოტოსურათები ჩემი წახალისებისთვის გამოაქვეყნა.

ძია მიშამ ასე დამილოცა გზა ჟურნალისტიკაში.

...ვაკის სასაფლაოზე მიწას აბარებდნენ ჟურნალისტს. ვინ მოსთვლის, ჩემსავით რამდენი აზიარა მან ჟურნალისტიკას, რამდენს შეაყვარა თავისი საყვარელი პროფესია, რამდენი დააფრთიანა „ლელოში", „მოლოდოი სტალინეცში", „ახალგაზრდა კომუნისტში", როცა ამ გაზეთებს რედაქტორობდა, ან როცა თბილისის უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის განყოფილებაზე კითხულობდა ლექციებს.

თბილისის უნივერსიტეტში სწავლისას ლექტორები ხშირად გვეუბნებოდნენ, მიხეილ კაკაბაძის წერილები იკითხეთ, ბევრს ისწავლით, კაკაბაძე ნამდვილი ჟურნალისტი და ნამდვილი რედაქტორიაო. გვეუბნებოდნენ და მეამაყებოდა, რომ ძია მიშას პირადად ვიცნობდი, ვიცნობდი კი არა, „ლელოში" შტატგარეშე კორესპონდენტად ვთანამშრომლობდი.

მესამეკურსელი ვიყავი და ერთ მშვენიერ დღეს კაკაბაძემ თავისთან, კაბინეტში მიხმო. მკითხა, — ჩვენთან, შტატში მუშაობა ხომ არ გინდაო. იმ ხანად „ლელოს" შტატში მუშაობა ლამის აუხდენელ ოცნებად მეჩვენებოდა. რედაქტორის მოულოდნელი კითხვისაგან დავიბენი და გაოცებული მდუმარედ მივაჩერდი.

— შენ რა, „ლელოში" მუშაობა არ გინდა? — ახლა თვითონ გაოცდა.

თანხმობის ნიშნად თავის დაქნევა ძლივს მოვახერხე. ხვალიდან მოხვალ და ამა და ამ ოთახში დაჯდებიო, მითხრა. სულ ეს იყო ჩვენი დიალოგი. სამუშაოზე ისე უბრალოდ მიმიღო, როგორი უბრალოც თავად იყო.

ბევრი ფიქრობს, რომ მიშა ძია მეტისმეტად ლმობიერი კაცი იყო.

სრულიადაც არა!

ქებასთან ერთად მისგან საყვედურიც მახსოვს და დასჯაც. მასალაში რომ კორექტურული შეცდომები გვეპარებოდა, მიშა ძია მას უთუოდ „იჭერდა", უშეცდომოდ აქვეყნებდა, მაგრამ იმ წერილში, როგორი კარგიც არ უნდა ყოფილიყო, აღარ გვიწერდა ჰონორარს. უფრო დიდი შეცდომისათვის კი გვეტყოდა, შენ ამისთვის და ამისთვის ბრძანებით საყვედურს მიიღებო.

ვლებულობდით კიდეც.

თუ ჩვენი ნამუშევარი მოეწონებოდა, წაკითხვის მერე იტყოდა: „გემრიელი მასალაა".

ჩემი მისამართით ნათქვამი ეს სიტყვები ყველაფერს მერჩივნა — ბრძანებით გამოცხადებულ მადლობასაც, გადიდებულ ჰონორარსაც და პრემიასაც.

...ვაკის სასაფლაოზე მიწას უბრალოდ და უხმაუროდ აბარებდნენ ადამიანს, იმ ადამიანს, რომლის მაგალითზე ახალგაზრდები კაცობასაც ვსწავლობდით.

ახლა ისევ იმ ფოტოსურათს დავცქერი. მასთან ერთად ვფურცლავ მიხეილ კაკაბაძის მიერ დაწერილ წიგნებსაც. ერთ-ერთი მათგანი — „სახლი" — სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მოთხრობების კრებულია. ეს წიგნი დიდ სამამულო ომში განცდილი შთაბეჭდილებებით დაიწერა, ზოგი ამბავი სინამდვილეში მოხდა, ზოგი კი ავტორის ნაფიქრალ-ნააზრევის ნაყოფია.

ამ წიგნს, როგორც სხვა წიგნებს, ამშვენებს ავტორისეული წარწერა: „სახსოვრად"...

მიშა ძიასაგან სახსოვრად დამრჩა კიდევ ბევრი ტკბილი მოგონება, რომელიც დავიწყებით არ დაიბინდება.

ამასვე იტყვის ყველა, ვინც მას იცნობდა.

* * *

ეს წერილი 1983 წელს, მიშა ძიას გარდაცვალების მეორე დღეს დავწერე. გადავწყვიტეთ იგი უცვლელად გამომექვეყნებინა, რადგან მას მერე ამ პიროვნების მიმართ არც აზრი შემიცვლია, არც დამოკიდებულება და არც მაშინდელი განწყობილება. მხოლოდ ერთს დავამატებ — დღეს აღარც არჩილ გოგოლაშვილია ცოცხალი.

**ავთანდილ გურასაშვილი**



მიხეილ კაკაბაძის ერთი ვაჟიშვილი, გიგა კაკაბაძე ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებაში" მუშაობდა. უმცროსი ვაჟიშვილი დავით კაკაბაძეც იმავე ჟურნალის დამატება „მართვეს" რედაქციაში მიიღოთ სამუშაოდ. ეს რომ მიხეილ კაკაბაძემ გაიგო, სიხარულით ცას ეწია. ორივე ვაჟიშვილი, მიუხედავად იმისა, რომ უფროსი მათემატიკოსია, უმცროსი კი გერმანისტი, ჟურნალისტურ საქმიანობას დღემდე აგრძელებენ და მამის კვალს მიჰყვებიან. მათ მრავალი სტატია დაუწერიათ სპორტულ თემაზე, გამოუციათ წიგნებიც, მოუწყვიათ ტელე თუ რადიოგადაცემები. დავით კაკაბაძის (ფოტოზე) წერილები „სარბიელის" მკითხველებსაც უთუოდ ემახსოვრებათ, თუნდაც გერმანიიდან გადმოცემული ინტერვიუ კახა ცხადაძისთან და ინგლისიდან — ფეხბურთის ევროპის ჩემპიონატის ამსახველი რეპორტაჟები.

# ფორმულა 1

## ჭორ-ბირჟი

აგვისტო-სექტემბერში გუნდების ხელმძღვანელობა და პილოტები სეზონის ბოლო ეტაპებისთვის მზადების გარდა საგაისოდ კონტრაქტების გაფორმებით, ძრავებისა და სპონსორების ძიებითაც არიან გართული. უკვე გაირკვა ზოგი გუნდისა და პილოტის მომავალი.

ფლავიო ბრიატორემ, რომელიც „ბენეტონის" გარდა „ლიჟიეს" მფლობელიცაა, ფრანგულ გუნდს საგაისოდაც გაუგრძელა კონტრაქტი „მუგენ-პონდასთან". ამით, ეტყობა, „ბენეტონისთვის" „პონდას" ძრავი დაიბევა. საქმე ისაა, რომ „რენოს" წასვლის შემდეგ „ბენეტონი" ძრავის გარეშე დარჩება, იაპონელები კი ფორმულა-1-ს ალბათ 1998 წელს დაუბრუნდებიან.

„ლიჟიეში" ადგილი შეინარჩუნა ოლივიე პანიმ (საფრანგეთი). გუნდის მეორე პილოტმა პედრო დინისმაც (ბრაზილია) გამოთქვა „ლიჟიეში" დარჩენის სურვილი, იმ პირობით, რომ ისეთსავე მომზადებულ ტექნიკას მისცემენ, როგორც პანის.

დაიშალა „მმმ" — მარლბორო-მაკლარენ-მერსედესის ტრიო: „მაკლარენი" თავის სპონსორ „მარლბოროს" გაეყარა და გაისად „ვესტის" რეკლამა დაამშვენებს, თუმც წითელ-თეთრ შეფერილობას კი შეინარჩუნებს. გუნდის ბრიტანელმა პილოტმა დევიდ კულჰარდმა საგაისოდაც გაიგრძელა კონტრაქტი, ფინელი მიკა ჰაკინენი კი ჯერაც უკონტრაქტოდაა. რაც შეეხება „მარლბოროს", იგი არ აპირებს ფორმულ-1-ის მიტოვებას და შეიძლება „ფერარის" გენერალური სპონსორი გახდეს. არც ისაა გამორიცხული, რომ მან „როთმანსისგან" გამოისყიდოს „უილიამსთან" კონტრაქტი.

გაურკვეველია დეიმონ ჰილის მომავალი. ცნობილია მხოლოდ ის, რომ გაისად „უილიამსში" აღარ იქნება. ჰილთან მოლაპარაკებას ჯეკი სტიუარტი (მისი გუნდის დებიუტი მომავალ წელს შედგება) და ედი ჯორდანი აწარმოებენ. ამბობენ, რომ მას შორიდან „მაკლარენიც" ეკეკლუცება. მიუხედავად იმისა, რომ სტიუარტი სოლიდურ თანხას პირდება, ჰილი ალბათ იუარებს მის გუნდში გადასვლას, რადგან დებიუტანტი პირველობისთვის ბრძოლას ვერ უზრუნველყოფს.



ჯერჯერობით რეალურად მხოლოდ „ჯორდანი" რჩება, რომელიც „პეჟოს" წყალობით სულ უფრო და უფრო სწრაფი ხდება. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზეც, გახდება თუ ვერა ჰილი ჩემპიონი. საქმე ისაა, რომ თუ ფინანსები ექნება, არცერთი მენეჯერი არ იტყვის უარს გუნდში მსოფლიო ჩემპიონის ყოლაზე. ამავე დროს, „ფერარიმ" უარყო ჭორი, რომ მოლაპარაკებას აწარმოებს ჰილთან. მის ადგილს „უილიამსში" 29 წლის გერმანელი ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი (ფოტოზე) დაიკავებს.

„ჯორდანმა" რუბენს ბარიჩელოსაც შესთავაზა გუნდში დარჩენა, თუკი ამის სურვილი ექნება, და შეწყვიტა მოლაპარაკება ჰოლანდიელ იოს ვერსტაპენთან, რადგან ედი ჯორდანი ვერსტაპენის მენეჯერთან უბრადაა. გარდა ამისა, გამოჩნდა ცნობა, რომ ეშტორილში, პორტუგალიის დიდი პრიზის დროს, იქეთა უქმეებზე რომ გათამაშდება, ედი ორწლიან კონტრაქტს გაუფორმებს რალფ შუმახერს, რომელიც უფროსი ძმის დარად ირლანდიურ გუნდში აპირებს კარიერის დაწყებას.

არც აუტსაიდერები სხედან გულხელდაკრეფილი. კენ ტირელი „იამაჰასთან" ურთიერთობის გასარკვევად იაპონიას ეწვია, „ეროუზმა" კი შეიძლება „ვოლვოს" ძრავით იასპარეზოს. ამის შეფ ტომ უოკინშოუს „ვოლვოს" გუნდი ბრიტანეთის „ტურინგ-კარის" ჩემპიონატში გამოჰყავს და საკმაოდ წარმატებითაც. თუ ეს საკითხი დადებითად გადაწყდა, მაშინ „ეროუზ-ვოლვოს" საჭესთან შეიძლება ფორმულა-3000-ის ერთ-ერთი ლიდერი, 30 წლის შვედი კენი ბრაკი ვიხილოთ.

**ალეკო ჭაბუკიანი**

## აბეზარა აეკიდათ

ესპანეთის ველოტურ „ვუელტაზე" სალაღობო ამბავი მოხდა. ხუთშაბათის ეტაპის დროს ჯგროს აეკიდა ველოსიპედზე ამხედრებული ქალი, ვინმე მარია დელმარი, და 10 კილომეტრი კაცების მხარდამხარ ირბოლა. მსაჯები ბევრს ეცადნენ, აბეზარი დედაკაცი გაეძევებინათ, მაგრამ თავად მონაწილეებს ქალის ხლება მოეწონათ, მას გარს შემოერტყნენ და მსაჯები ახლოს არ გააკარეს.

ოთხშაბათის V ეტაპი (მურსია — ალმერია, 130 მილი) საფინიშო სპრინტით მოიგო ჰოლანდიელებმა იერონ ბლეილევენსმა (ტვმ), ლიდერობა კი ფრანგმა ლორან ჟალაბერმა (ონსე) შეინარჩუნა.

ხუთშაბათს, ალმერიიდან მალაგისაკენ მიმავალი მრბოლები წვიმის მაგივრად ქარმა შეაწუხა. 35-ე კილომეტრზე იტალიელები დი რენცო და კაბელო წინ გაიჭრნენ და ერთი პირობა 18 წუთსაც უგებდნენ ჯგროს, მაგრამ ფინიშამდე 10 კილომეტრი რომ დარჩა, ლტოლვილებმა ველარ გაუძლეს და ლიანგში ჩაინთქნენ.

სპრინტით გაიმარჯვა იტალიელმა ფაბიო ბალდატომ (ტექნოჯიმი). საშუალედო ფინიშებზე და ეტაპზე პირველობისათვის მან იმდენი პრემიალური წამი დაიმსახურა, რომ თუ ამ ეტაპამდე 3 წამს აგებდა ჟალაბერთან, ახლა თავად უგებს 11 წამს.

# ჩოგბურთი

## ქულები და ფულები

ცალკე ვაჟ და ცალკე ქალ პროფესიონალთა ასოციაციებმა — ATP-მა და WTA-მ ორშაბათს ტრადიციისამებრ გამოაქვეყნეს როგორც რეიტინგები, ასევე წლევანდელ პროფ-ტურებში მოხვეჭილი ჰონორარების ნუსხა. ეს მონაცემები მრავალმხრივ საგულისხმოა და შესანიშნავი მასალაცაა მოცალეობის დროს საანალიზოდ.

ორივე რეიტინგი ერთი და იმავე პრინციპით დგება, თუმც კი ქულათა მასშტაბი განსხვავებული აქვს. შედარება და კითხვა რომ გაგვეადვილებინა, რიცხვები „საერთო მნიშვნელამდე" დავიყვანეთ და დავამრგვალეთ.

ცხრილის ბოლოსწინა გრაფა უთითებს, თუ მოხვეჭილი ფულით ამა თუ იმ ჩოგბურთელს მერამდენე ადგილი უჭირავს. ეს მონაცემი მეტწილად არ ემთხვევა სარეიტინგო პოზიციას, რაც იმით აიხსნება, რომ ქულათა დათვლისას თანაბრად ითვალისწინებენ ბოლო 52 კვირის შეჯიბრებებს. ისიც სათქმელია, რომ ზოგი სპორტსმენი წყვილადაც სისტემატურად თამაშობს, რითაც გვარიან ჰონორარს იხვეჭს, რეიტინგში კი ქულები არ ემატება.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | პიტ სამპრასი | აშშ | 4543 | 2 | 1,617,922 |
| 2 | მაიქლ ჩანგი | აშშ | 4010 | 5 | 1,342,266 |
| 3 | თომას მუსტერი | ავსტრია | 3752 | 3 | 1,456,276 |
| 4 | გორან ივანიშევიჩი | ხორვატია | 3161 | 4 | 1,387,005 |
| 5 | ევგენი კაფელნიკოვი | რუსეთი | 3059 | 1 | 1,629,763 |
| 6 | ბორის ბეკერი | გერმანია | 2785 | 15 | 694,657 |
| 7 | ვეინ ფერერა | სამხ. აფრიკა | 2701 | 10 | 872,140 |
| 8 | რიხარდ კრაიჩეკი | ჰოლანდია | 2434 | 6 | 1,174,211 |
| 9 | ანდრე აგასი | აშშ | 2292 | 7 | 1,045,660 |
| 10 | მარსელო რიოსი | ჩილე | 2108 | 14 | 699,418 |
| 11 | ჯიმ კურიე | აშშ | 2011 | 28 | 499,572 |
| 12 | მალივაი ვოშინგთონი | აშშ | 1891 | 23 | 530,998 |
| 13 | თოდ მარტინი | აშშ | 1805 | 17 | 679,486 |
| 14 | თომას ენკვისტი | შვედეთი | 1786 | 20 | 542,147 |
| 15 | ალბერტო კოსტა | ესპანეთი | 1633 | 16 | 684,056 |
| 16 | ფელიქს მანტია | ესპანეთი | 1578 | 40 | 397,796 |
| 17 | სედრიკ პიოლინი | საფრანგეთი | 1566 | 31 | 477,404 |
| 18 | სტეფან ედბერგი | შვედეთი | 1449 | 21 | 537,057 |
| 19 | მარკ ფილიპუსისი | ავსტრალია | 1448 | 35 | 425,010 |
| 20 | არნო ბეჩი | საფრანგეთი | 1426 | 53 | 325,928 |
| 21 | მიხაელ შტიხი | გერმანია | 1408 | 19 | 602,635 |
| 22 | მარკ როსე | შვეიცარია | 1364 | 12 | 767,039 |
| 23 | ალექს კორეჩა | ესპანეთი | 1359 | 22 | 532,433 |
| 24 | კარლოს მოია | ესპანეთი | 1336 | 48 | 371,255 |
| 25 | ალბერტო ბერასატეგი | ესპანეთი | 1319 | 42 | 384,542 |
| | | | ქულა | | US$ |
| 1 | მონიკა სელეში | აშშ | 3419 | 3 | 985,754 |
| | შტეფი გრაფი | გერმანია | 3269 | 1 | 2,112,581 |
| 2 | არანჩა სანჩეს-ვიკარიო | ესპანეთი | 2263 | 2 | 1,383,949 |
| 3 | კონჩიტა მარტინესი | ესპანეთი | 1936 | 4 | 751,051 |
| 4 | ივა მაიოლი | ხორვატია | 1853 | 8 | 491,035 |
| 5 | ანკე ჰუბერი | გერმანია | 1530 | 10 | 376,565 |
| 6 | ლინდზი დავენპორტი | აშშ | 1367 | 6 | 573,413 |
| 7 | იანა ნოვოტნა | ჩეხეთი | 1359 | 5 | 626,977 |
| 8 | კიმიკო დატე | იაპონია | 1329 | 11 | 362,936 |
| 9 | მერი-ჯო ფერნანდესი | აშშ | 1221 | 9 | 409,456 |
| 10 | მარი პირსი | საფრანგეთი | 1081 | 31 | 173,695 |
| 11 | მაგი მალეევა | ბულგარეთი | 1077 | 33 | 160,899 |
| 12 | ჩანდა რუბინი | აშშ | 1070 | 17 | 323,339 |
| 13 | მარტინა ჰინგისი | შვეიცარია | 1038 | 7 | 558,826 |
| 14 | ბარბარა პაულუსი | ავსტრია | 946 | 29 | 184,889 |
| 15 | ბრენდა შულც-მაკგაფი | ჰოლანდია | 939 | 23 | 217,924 |
| 16 | ამანდა კეტცერი | სამხ. აფრიკა | 917 | 19 | 299,357 |
| 17 | კარინა ჰაბსუდოვა | სლოვაკეთი | 811 | 20 | 282,242 |
| 18 | ჟული ალარ-დეკიუჟი | საფრანგეთი | 792 | 22 | 219,274 |
| 19 | მერედით მაკგრაფი | აშშ | 748 | 12 | 361,718 |
| 20 | გაბრიელა საბატინი | არგენტინა | 741 | 35 | 158,505 |
| 21 | ირინა სპირლეა | რუმინეთი | 739 | 14 | 342,259 |
| 22 | იუდით ვიზნერი | ავსტრია | 706 | 25 | 210,531 |
| 23 | ლინდა ვაილდი | აშშ | 568 | 21 | 222,352 |
| 24 | აი სუგიამა | იაპონია | 563 | 37 | 145,732 |



მარტინა აშშ-ის პირველობის დროს

აპ-ის ფოტო

## ჰინგისი ჰუნეს მიესიყვარულა

15 წლის ვუნდერკინდი მარტინა ჰინგისი აშშ-ის ღია პირველობაზე ნახევარფინალში გავიდა, ნაშეჯიბრევს კი დედის თანხლებით ეწვია ბელმონთ-პარკს, სადაც მოინახულა მისსავით ნორჩი და ცნობილი ბედაური, სახელად „სიგარი", რომელსაც წელს ერთი გამარჯვება ვერ ეყო, ზედიზედ მოგებული დოღების რეკორდი რომ გაეუმჯობესებინა.

მარტინას ცხენები ძალზედ ჰყვარებია; შინაც ჰყოლია თავისი და თურმე შეჯიბრებებშიც კი მონაწილეობს. გოგო მიეალერსა „სიგარს", მანამდე კი პონი 20 წუთი აჭენა, მაგრამ თავისდა გასაკვირად, ერთობ დაიღალა.

ამასობაში მორიგი ფათერაკი შეემთხვათ რუმინეთის ღია პირველობის ორგანიზატორებს. თითქოს ბეკერის (1) ავადობა არ კმაროდა, ივანიშევიჩიც (2) გამოაკლდა შეჯიბრს, რაკი ერთობ ასტკივდა მარცხენა მკლავი, კარგა ხანია რომ აწუხებს. ბუქარესტში გორანმა წყვილთა ერთი მატჩი გამართა, მერე კი მეექვსე (!) დაზარალებული შეიქნა.

# მძლეოსნობა

## [illegible]

ცნობილი კალიფორნიელი იმპრესარიო ჯიმ ბათლერი დიდ შოუს გეგმავდა, მაგრამ, ეტყობა, არაფერი გამოუვა.

6 ოქტომბერს ტორონტოს „სქაი-დოუმში", სადაც 1993 წლის ჭერქვეშა მსოფლიო პირველობა გაიმართა, ამ კაცს უნდა შეეჯიბრებინა ორი დიდი მძლეოსანი — კანადელი დონოვან ბეილი და ამერიკელი მაიქლ ჯონსონი. ატლანტაში პირველმა 100 მეტრზე სირბილი მოიგო მსოფლიო რეკორდით (9,84 წამი), მეორემ კი 400 მეტრზე გამარჯვების გარდა 200 მეტრზეც ყველას აჯობა და სასწაული მსოფლიო რეკორდიც დაამყარა (19,32).

ბათლერს ვითომც სურს, რომ მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანი გამოავლინოს. ამიტომაა, რომ ბეილისა და ჯონსონს კომპრომისი შესთავაზა — ერთმანეთს 150 მეტრზე შეეჯიბრეთო. ამ მანძილზე მძლეოსნებს ხანდისხან კი არბენინებენ, მაგრამ ჯონსონსა და ბეილის აქამდე თურმე ერთხელაც არ ხვედენიათ ამგვარი ბედნიერება.

ბათლერის აზრით, შეჯიბრი სწორზე უნდა გაიმართოს. როცა „სქაი-დოუმის" არენას კანადური ბურთაობის ყაიდაზე აწყობენ, ლელოების ნაპირებს შორის 137 მეტრი გამოდის. ეს წელს აძლევს ჩალიჩა ბათლერს: მძლეოსნებს მართკუთხა სარბიელის დიაგონალზე გააქცევს!

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ თავად ბეილი და ჯონსონი რას ფიქრობენ, იმას აღარ იკითხავთ? ჯონსონს თურმე არა უჭირს, მაგრამ შეჯიბრის გამართვისა არა სჯერა. ბეილი სასტიკ უარზეა, ესაო და სეზონის ბოლოა, ამდენი ასპარეზობით დავიღალე. გარდა ამისა, ასეთი გამორჩეული შოუ ხელის ერთი დაკვრით არ ეწყობა და წარმოჩინებაც საკადრისი სჭირდებაო.

დასტურის ბოლო ვადად ბეილის ამ კვირის ბოლო დაუთქვეს, მაგრამ საეჭვოა, რომ გადაიფიქროს. მისი და ჯონსონის გაჯიბრების გარდა ბათლერი „სქაი-დოუმში" კიდევ ორ სხვა გარბენსაც გეგმავს. ერთია 4X100 მეტრზე ვაჟთა ესტაფეტაში კანადისა და აშშ-ის შეჯიბრი, მეორე კი 100 მეტრზე მორბენალი სამი ცნობილი ქალის, ოლიმპიადის პრიზიორების — ამერიკელების გეილ დივერსისა და გვენ თორენსის და იამაიკელი მერლინ ოთის სპრინტი. ატლანტაში გაიმარჯვეს კანადამ და დივერსმა.


E-mail

ცნობილი ნოვატორი, ბიზნესმენი, ხელოვნებათმცოდნე, ქველმოქმედი, უცხო ხილთა ტრფიალი

**ყაფლან ჯანდიერი**

ახლახანს ისევ შეგვეხმიანა ყარაჩიდან (პაკისტანი)

მსოფლიო სპორტის შორეველი ქომაგის ელექტრო-ბარათები




## უცხო ხილები

თვე-ნახევარია, არაფერი მომიწერია. აგრე მგონია, ძალიან მოისაკლისებლით უცხო ხილთა გემოსა და სურნელს. ამიტომ პაკისტანელთა სათაყვანო კრიკეტით დავიწყებ.

მას აქეთ, რაც ინგლისში სტუმრად მყოფმა ვაზიმ აკრამის ბიჭებმა მასპინძლებს სამ-ტესტა სერია 2-0 მოუგეს, თავად ვაზიმმა კი კარიერის მე-300 ბჭე მონადირა, აგვისტოსა და სექტემბრის მიჯნაზე ინგლისი და პაკისტანი სამ თითოდღიან თამაშშიც შეიბნენ. აქ გამარჯვებული ინგლისი გამოვიდა — 2-1: მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდზე" 5 ბჭითა და 3.2 წყებით გაიმარჯვა, ბირმინგემის „ეჯბასთონზე" — 107 გარბენით, ნოთინგემის „თრენთ ბრიჯზე" 2 ბჭითა და 2 ბურთით დამარცხდა.

ამასობაში კოლომბოში გაჩაღდა „ზინგერის თასი". სწორედ იმ ზინგერისა, ნიკოლოზის დროინდელ საქართველოში საკერავი მანქანებით რომ იყო განთქმული. ოთხი გუნდის — მასპინძელთა, ავსტრალიის, ინდოეთისა და ზიმბაბვის შეჯიბრში ყველა სათითაოდ დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონმა შრი-ლანკამ და ფინალში, 7 სექტემბერს, პრიმადასას სახელობის 40-ათასიან სტადიონზე ისევ ავსტრალიას ეთამაშა.

წვიმის გამო ფინალის დაწყება ოთხი საათით დაგვიანდა. 50-წყება თამაში 35-წყებიანზე დაიყვანეს. შრი-ლანკამ 3 ბჭის სანაცლოდ 234 გარბენი მოაგროვა, მერე კი მეტოქე 33 წყებაში 184 გარბენის ფასად გააბუნძულა.

ქალაქი და ქვეყანაც ლხენას მიეცა. დაიხურა დუქნები და საწარმოები, ქუჩებში კი კარნავალი მოეწყო. გადადგომა მოუწია ქვეყნის კრიკეტის თავკაც უფალი დაამადასას, რომელსაც შეეშალა თუ სხვა რამ ჰქონდა გულში, მაგრამ შრი-ლანკას სპორტის მინისტრის ნაცვლად გამარჯვებული გუნდი „ზინგერის" წარმომადგენელს დააჯილდოებინა.

აზიელები კრიკეტის სხვაგან გასავრცელებლადაც ილვწიან. დღეს, ხვალ, ოთხშაბათს, შაბათსა და კვირას დაუძინებელი მტრები — ინდოეთი და პაკისტანი კანადაში გამართავენ 5 თითოდღიან მატჩს. სერიალს „მეგობრობის თასი" (Sahara Cup) ჰქვია. თამაშების ხილვა საქართველოში ინდური ESPN-ით შეგეძლებათ.

ახლა აქაურთა მეორე გატაცების — კამერული ჩოგბურთის ანუ სქვოშის გამოცა ვთქვათ ორიოდ სიტყვა. 1 სექტემბერს ჰონკონგის ღია პირველობის ფინალში მსოფლიოსა და ჰონკონგის შვიდ-შვიდგზის ჩემპიონი, აქაური ჯანშირ ხანი 10:15, 10:15, 5:15 დამარცხდა ავსტრალიელ როდნი აილზთან. ეს მით უფრო მოულოდნელი იყო, რომ ჯანშირს თავისი კბილა აილზი ჭაბუკობიდან დაბრიყვებული ჰყავს და საერთოდაც ერთობ იშვიათად აგებს: 1992 წლიდან მოკიდებული ეს ჯანშირის ოდენ მეექვსე მარცხი იყო.

აილზმა ჯილდოდ სულ რაღაც 11 220 დოლარი მიიღო. ჩოგბურთის ჰონორარების მცოდნე ხალხს ამ თანხაზე გაეღიმება. დიახ, სქვოში კნინი სპორტია და სპონსორიც შესაფერი ჰყავს.

ჰონკონგში თავი ისახელა მეორე ავსტრალიელმაც — ენთონი ჰილმა, ვინაც სასჯელის მოხდას ძლივს ასწრებს, რომ უმალ ახლად სჯიან. ჰილმა ამჯერადაც დებოში მოაწყო: ხანთან 7:15, 15:17, 15:14, 8:15 წაგებულ ნახევარფინალში, ერთი პირობა, კორტიდან გაქცევაც კი დააპირა.

პაკისტანიდან გადავიდეთ ავსტრალიაში, სადაც ლიგის რაგბისა და იქაური ბურთაობის პლეი-ოფები დაწყებულა. ლიგის ამბების გარჩევა სხვა დროს იყოს, Footy-ის გამო კი ვიტყვი, რომ მას აქეთ, რაც „სარბიელში" ბოლო ცხრილი გამოქვეყნდა, მიმოსვლითი სეზონის ბოლო ორ ტურში ოთხივე ლიდერმა — „გედებმა", „კენგურუებმა", „დათვებმა" და „არწივებმა" თითო მარცხი იგემა. საბოლოოდ პირველი ადგილი სიდნეის გუნდს შერჩა, რისი წყალობითაც დიდ ფინალამდე შინ ითამაშებს.

| ბურთაობის ლიგა-96 | თ | მ | ფ | წ | ბ % | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| * სიდნეის გედები | 22 | 16 | 1 | 5 | 123.9 | 66 |
| ჩრდ. მელბურნის კენგურუები | 22 | 16 | 0 | 6 | 127.4 | 64 |
| * ბრისბენის დათვები | 22 | 15 | 1 | 6 | 125.6 | 62 |
| * პერთის დას. ნაპ. არწივები | 22 | 15 | 0 | 7 | 125.2 | 60 |
| კარლტონის ლურჯები | 22 | 15 | 0 | 7 | 110.8 | 60 |
| ესენდონის ბომბდამშენები | 22 | 14 | 1 | 7 | 108.2 | 58 |
| ჯილონგის კატები | 22 | 13 | 1 | 8 | 114.9 | 54 |
| ჰოვსორნის ქორები | 22 | 11 | 1 | 10 | 98.5 | 46 |
| რიჩმონდის ვეფხვები | 22 | 11 | 0 | 11 | 117.4 | 44 |
| სენთ-ქილდას წმინდანები | 22 | 10 | 0 | 12 | 101.0 | 40 |
| კოლინგვუდის კაჭკაჭები | 22 | 9 | 0 | 13 | 102.8 | 36 |
| * ადელაიდის ყვავები | 22 | 8 | 0 | 14 | 96.0 | 32 |
| * ფრიმენთლის დოკერები | 22 | 7 | 0 | 15 | 92.3 | 28 |
| მელბურნის დემონები | 22 | 7 | 0 | 15 | 70.8 | 28 |
| ფუთსქრეის ბულდოგები | 22 | 5 | 1 | 16 | 77.3 | 22 |
| ფითსროის ლომები | 22 | 1 | 0 | 21 | 49.5 | 4 |

პლეი-ოფის რვეულში იღბლად გაძვრნენ „ქორები", რომლებმაც ბოლო ტურში 102:101 მოუგეს „დემონებს" და გაუსწრეს „ვეფხვებს", ვითაც მერე ვერაფერი გააწყვეს „კენგურუებთან" 109:141. თავად პლეი-ოფი, უკვე მესამე წელია, ვინმე მაკინტაიერის სისტემით იმართება, რაც საგულისხმო რამაა და მოწინავე გუნდებს ერთ მარცხს პატიობს.

პლეი-ოფის პირველ წრეში — საკვალიფიკაციო ფინალში ოთხივე თამაში ცხრილური რეიტინგის შესაბამისად, მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა: დათვები 101 (15.11) — ბომბდამშენები 100 (15.10); არწივები 125 (18.17) — ლურჯები 70 (10.10); გედები 90 (13.12) — ქორები 84 (12.12); კენგურუები 131 (19.17) — კატები 71 (9.17). ამის შედეგად ჯილონგისა და ჰოვსორნის გუნდები გავარდნენ, სიდნეი და ჩრდ. მელბურნი პირდაპირ მესამე წრეში — წინასწარ ფინალში გავიდნენ, მეორე წრეში — ნახევარფინალში კი დღეს თამაშობენ: ბრისბენი — კარლტონი და პერთი — ესენდონი.

პირველი წრის მშვენება ბრისბენის „გაბაზე" გამართული მატჩი იყო. ბოლო, IV მეოთხედის შუაწელში „დათვები" 27 ქულას უგებდნენ „ბომბდამშენებს", მაგრამ ამათ 4 გოლი შეაგდეს და დამთავრებამდე წამები რომ რჩებოდა, უკვე თავად იგებდნენ 2 ქულას. მასპინძელთა ბოლო დარტყმა ძელს მოხვდა, რაც სამი აცდენის ტოლფასია. „დათვებმა" ერთი კინკილა ქულით გაიმარჯვეს.

ბოლოს ფეხბურთიც, რომელიც ჭეშმარიტად ამოუწურავი თემაა და იმითაა კარგი, რომ მის შესახებ ყველას საკუთარი აზრი აქვს. გადმოვინაცვლოთ ისევ პაკისტანში, სადაც მსოფლიოს ფეხბურთის ბურთების 80 პროცენტი იკერება. გაგეგონათ?! ეს თურმე არც ფიფა-ს სცოდნია, მაგრამ ახლა საკითხს ჩაუღრმავდა და პროფკავშირთა მსოფლიო საბჭოსთან ერთად ერთი ამბავი ატეხა, მაგ ქვეყანაში ბურთების კერვისას არასრულწლოვანთა ექსპლოატაციას ეწევიანო.



ყაფლან ჯანდიერი

Qaflan@HuzLiBab.edu.pk


საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლში სამუშაოდ ვიწვევთ სხვადასხვა პროფილის ხელოსნებს.

მისამართი:

გურამიშვილის გამზირი 33

ტელეფონები:

22 53 12 და 61 66 88

„სარბიელში"

რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ

95 26 90



სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მექვევლია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ ბიბინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29